



კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

თორნიკე ბიჭიაშვილი

დანაშაულის პროვოკაცია

სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა  
სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: მინდია უგრეხელიძე  
სამართლის დოქტორი,  
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის  
პროფესორი

თბილისი  
2018

## ანოტაცია

დანაშაულის პროვოკაციის საკითხმა მეცნიერთა ყურადღება თითქმის ორი საუკუნეა მიიპყრო. მიუხედავად კვლევა ძიებისა მის ირგვლივ აზრთა სხვადასხვაობა დღემდე გრძელდება. მკვლევართა ნაწილი მის სრულ კრიმინალიზაციას მოითხოვს სხვები კი- ნაწილობრივ ლეგალიზაციას ემხრობიან. ამასთანავე არასაკმარისადაა ყურადღება გამახვილებული დანაშაულის პროვოკაციის ობიექტის საკითხზე, ამიტომ გამოთქმულ მოსაზრებათა დიდი ნაწილი საჭიროებს დახვეწასა და სრულყოფას, ვინაიდან დანაშაულის ობიექტი გახლავთ ის ღირებულება რომლის დაცვაც უდევს საფუძვლად ქმედების კრიმინალიზაციას. მამასადამე საჭიროა მაქსიმალური ყურადღების გამახვილება დანაშაულის პროვოკაციის ობიექტის საკითხში.

მნიშვნელოვანია, რომ სხვადასხვა ისტორიული პირობების გამო განსხვავებული მიდგომები ჩამოყალიბდა კონტინენტური და საერთო სამართლის ქვეყნებში. მათი ანალიზის მეშვეობით შესაძლებელია მნიშვნელოვნად გამდიდრდეს არსებული ცოდნის მარაგი.

ნაშრომის მიზანია პრაქტიკული რეკომენდაციად გამოსადეგი მეცნიერული პოზიციის დაფიქსირება და რიგ საკითხებში სიცხადის შეტანა.

TORNIKE BICHIASHVILI

## Entrapment of Crime

### Annotation

The issue of crime entrapment has attracted a lot of scientist's attention nearly for two centuries. Despite carrying out investigations, different opinions about this problem still continuous. Part of researchers demand its full criminalization, while others support its partiae legalization. Meanwhile less attention is paid to the issue of crime entrapment of the victim. That's why the majority of opinions need to be discussed properly, because the victim is such a value, of protection wich is the basic issue for the crime criminalization. Thus we must pay proper attention to the issue of crime entrapment of the victim. It's important that due to different historic conditions, various attitudes have been formed in continental and common law countries. With the help of their analysis, the supply existent fund of knowledge may be enriched.

The aim of the study is state went of scientific attitude and analysis of similar issues that bring us to practical recommendations.

## სარჩევი

შესავალი.....	5
თავი 1 .დანაშაულის პროვოკაცია (ზოგადი მიმოხილვა).....	8
1.1.ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა, როგორც სისხლის სამართლებრივი ხელყოფის ობიექტი.....	9
1.2 ანომია- ( ბერძ. უკანონობა ) .....	12
თავი2. დანაშაულის პროვოკაციის ისტორია.....	14
2.1 დანაშაულის პროვოკაცია მეფის რუსეთის იმპერიაში. ....	14
2.2 დანაშაულის პროვოკაცია საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა კავშირში.....	15
2.3დანაშაულის პროვოკაცია საბჭოთა საქართველოში .....	16
თავი 3. დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა .....	20
3.1.დანაშაულის პროვოკაციის ობიექტური შემადგენლობა .....	20
3.2 დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობა .....	23
3.3 დანაშაულის პროვოკაციის მცდელობა.....	27
თავი 4. ბრალეულობა დანაშაულის პროვოკაციის დროს .....	31
თავი 5. დანაშაულის პროვოკაცია და წამქეზებლობა .....	36
5.1 ხარვეზი.....	38
5.2 ხარვეზის გამოსწორების გზები .....	41
თავი 6. დანაშაულის პროვოკაცია და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება.....	43
6.1 „დაყოლიების ცნების ანალიზი“ .....	45
6.2 დანაშაულის პროვოკაცია და სხვა დანაშაულები.....	50
6.3 სასამართლო პრაქტიკა.....	54
დასკვნა.....	60

## შესავალი

სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში ძალიან დდი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის პროვოკაციისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემის კვლევას.

დანაშაულის პროვოცირებისთვის პასუხისმგებლობის დადგენა არამარტო საქართველოს კანონმდებლობის, არამედ საერთაშორისო სისხლის სამართლის პრობლემაცაა. დღესდღეისობით საერთაშორისო თემობა ცდილობს განსაზღვროს პროვოკაციული მეთოდების გამოყენების დასაშვები ზღვრები სამართალდამცავი ორგანობის მიერ დანაშაულის გახსნისას, ასევე შეიმუშაოს დანაშაულთა პროვოცირების თავიდან აცილების და აღკვეთის ზომები. აღნიშნული პოზიცია ასახვას პოვებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნორმატიულ აქტებში.<sup>1</sup>

სხვადასხვა ქვეყანა და მათ შორის საქართველოც აწესებს სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას პროვოკაციული ქმედებისთვის. საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლმა გაითვალისწინა პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისთვის. ეს უკანასკნელი კი ახალ ნორმას წარმოადგენს ჩვენს კანონმდებლობაში.<sup>2</sup>

დანაშაულის პროვოკაციის პრობლემა თანამედროვე იურიდიულ დოქტრინაში დღემდე არ არის სიღრმისეულად განხილული რადგან, მეცნიერები ცდილობენ დანაშაულის პროვოკაციის გარკვევისას მოიშველიონ მხოლოდ თანამონაწილეობის ინსტიტუტი. მაშინ, როდესაც ამ ინსტიტუტის მოშველიებით სიღრმისეული განხილვის გარეშე რჩება ის ფაქტი, რომ პროვოკაციის უმართლობა და ამსრულებლის უმართლობა თანამონაწილეობის დროს სხვადასხვა ბუნებისაა. ჩვენი აზრით, ეს ყოველივე გამოწვეულია არა მარტო იმ ფაქტორით, რომ აღნიშნული მუხლი მეცნიერული დაინტერესების საგანი ვერ გახდა, არამედ იმით, რომ იგი კოდექსის შედარებით ახალ ნორმას წარმოადგენს და მისი საგამომიებო და

<sup>1</sup> ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული. მე-2 ნაწილი. თბ. 2001.

<sup>2</sup> საქართველოს 1999 წლის სისხლის სამართლის კოდექსი.

სასამართლო პრაქტიკა არ არის იმ ოდენობით დაგროვილი, რომ მისი ღრმა გააზრებისა და განზოგადების საშუალებას იძლეოდეს. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, მოცემულ საკითხზე სამწუხაროდ ბევრ მეცნიერს, ყურადღება არ გაუმახვილებია. აღნიშნული საკითხის მეცნიერულ ახსნას და გააზრებას პირველად შეეხო პროფესორი ო. გამყრელიძე. თავის მსჯელობაში ო. გამყრელიძემ ყურადღება გაამახვილა აღნიშნულ პრობლემაზე თუმცა საბოლოოდ დანაშაულის პროვოკაციის პრობლემის გადაწყვეტის შემოთავაზებული ვარიანტები ძველებურად წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანი დარჩა.

ძირითადი პრობლემა დღესაც ღიად რღება, რადგან თანამონაწილეობის ინსტიტუტის მოშველიება ვერ წყვეტს დანაშაულის პროვოკაციის საკითხს. პროვოკაციის უმართლობა არ ემთხვევა წაქეზებული პირის ქმედების უმართლობას. უფრო მეტიც, სამეცნიერო სამყაროში ღიად რჩება კითხვა. თუკი პასუხისმგებლობა დანაშაულის პროვოკაციისთვის უნდა დადგეს იმ შემთხვევაში, როცა ამსრულებლის ქმედება მცდელობის სტადიაზე შეჩერდა, რატომ არ უნდა აგოს პასუხი პროვოკატორმა დანაშაულის პროვოკაციისთვის მაშინ, როდესაც ამსრულებელი გასცდა მცდელობას და დადგა დანაშაულებრივი შედეგი? როგორ უნდა მოხდეს პროვოკატორის პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტა თუ მან ჩაიდინა მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული?

სსკ-ს 145-ე მუხლის კონსტრუქცია არ წყვეტს ხსენებულ შემთხვევებს, რაც ნორმის აშკარა ხარვეზს წარმოადგენს და საჭიროებს მის სწორ სამართლებრივ რეგლამენტაციას.

დანაშაულის პროვოკაციის პრობლემის დაუმუშავებლობა წარმოშობს ამ საკითხის გადაწყვეტის პრაქტიკულ აუცილებლობას, რომელიც საშუალებას მოგვცემდა ჩამოგვეყალიბებინა პროვოკაციულ ქმედებათა მართებული შეფასება. მიუხედავად მოცემული საკითხის საზოგადოებრივი მნიშვნელობისა, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ სამართლის მეცნიერებასა და პრაქტიკაში დღემდე არ არსებობს პროვოკაციული საქმიანობის კომპლექსური გამოკვლევა.

ამ საკითხების გადაწყვეტა საშუალებას მოგვცემს შევავსოთ კანონში არსებული ხარვეზები და სასამართლო პრაქტიკას დანაშაულის პროვოკაციის უფრო დახვეწილი ნორმა შევთავაზოთ.

ამრიგად, პროვოკაციის იურიდიული ბუნება, ცნება და სამართლებრივი შედეგები დამოუკიდებელი პრობლემის სახით სისხლის სამართლის თეორიაში ბოლომდე არაა გარკვეული. ეს გარემოებები მიუთითებს აღნიშნული პრობლემების ყველა ასპექტის დეტალური განხილვის აქტუალობასა და აუცილებლობაზე, რამაც განაპირობა წინამდებარე გამოკვლევის თემის დამუშავება.

გამოკვლევის მიზანი განისაზღვრება კონკრეტული ამოცანებით:

- დანაშაულის პროვოკაციის არსის გამოვლენა სისხლის სამართლებრივ ასპექტში;
- დანაშაულის პროვოკაციის ძირითადი ნიშნების განსაზღვრა;
- სისხლის სამართლის თეორიის იმ საკამათო საკითხების განხილვა რომლებიც წარმოიშობა პროვოცირებულ დანაშაულთა კვალიფიცირებისას;
- თეორიული დამუშავების და უცხოეთის იმ სისხლის სამართლის კანონმდებლობის განზოგადება, რომელიც არეგულირებს პასუხისმგებლობას დანაშაულის პროვოკაციისთვის;
- წინადადების მომზადება სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის;

ნაშრომის კვლევის მეცნიერული სიახლე მდგომარეობს:

- დანაშაულის პროვოკაციის ცნების მკაფიო სისხლის სამართლებრივ განსაზღვრასა და საკანონმდებლო დამკვიდრებაში.

ნაშრომში წარმოდგენილი დასკვნებსა და წინადადებებს აქვს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობა და მათი გამოყენება შეიძლება სისხლის სამართლის და ოპერატიულ—სამძებრო კანონმდებლობის სრულყოფისათვის.

## თავი 1 .დანაშაულის პროვოკაცია (ზოგადი მიმოხილვა)

პროვოკაცია (ლათ- provocatio)-გამოწვევა. ცალკე პირის,პირთა ჯგუფების წაქეზება ისეთ მოქმედებებზე ,რომელსაც მოჰყვება მათთვის მძიმე, ზოგჯერ დამღუპველი შედეგები.<sup>3</sup>

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 145-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის პროვოკაციისთვის. ეს ახალი ნორმა ჩვენს კანონმდებლობაში.1960 წლის კოდექსი ასეთ საკანონმდებლო ნოველას არ იცნობდა.დანაშაულის პროვოკაცია ხსენებული მუხლის დისპოზიციაში განმარტებულია,როგორც „სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის მიზნით.“ სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად სხვა არაფერია,თუ არა წაქეზება. იბადება კითხვა: რატომ გახდა საჭირო წაქეზების კერძო შემთხვევის დამოუკიდებელი დანაშაულის სახით გათვალისწინება და რატომ არ შეიძლება პროვოკატორს პასუხი ეგო თანამონაწილეობის ზოგადი წესების შესაბამისად?

როგორც ცნობილია,თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა ობიექტური მხრივ მიზეზობრიობის მომენტს ეფუძნება,ყოველი თანამონაწილის, მათ შორის წამქეზებლის მოქმედება მიზეზობრივ კავშირში უნდა იყოს დანაშაულებრივ შედეგთან.წამქეზებელი ხელყოფს იმავე სამართლებრივ სიკეთეს, რასაც ხელყოფს ამსრულებელი.მაგალითად,თუ ვინმემ წააქეზა მეორე პირი მკვლელობის ჩასადენად მისი მოქმედება ისევე ხელყოფს ამ პირის სიცოცხლეს,როგორც ამსრულებელი.განსხვავება მხოლოდ იმაშია,რომ წამქეზებლის მოქმედება უშუალოდ არ იწვევს დანაშაულებრივ შედეგს.ის გაშუალებულია ამსრულებლის მოქმედებით.ამსრულებლისაგან განსხვავებით რომელიც ფიზიკურად ასრულებს დანაშაულს.

სხვაგვარად არის საქმე,პროვოკაციის მიზნით წაქეზებისას ე.ი როდესაც პირს აქეზებენ დანაშაულის ჩასადენად იმ მიზნით,რომ შემდეგ იგი ამხილონ და პასუხისგებაში მისცენ.ამ შემთხვევაში, წამქეზებელს არ სურს,როგორც წესი,რომ ამსრულებელმა ბოლომდე მიიყვანოს დანაშაული.იგი დაინტერესებულია იმით რომ

<sup>3</sup> საბჭოთა ენციკლოპედია, 1984წ. გვ.198

მან დაიწყო დანაშაულებრივი ქმედება და დასჯად სტადიას მიაღწიოს, რაც შესაძლებლობას მისცემს ამხილოს დამნაშავე. ასე, რომ წამქეზებლის მოქმედება მიმართულია თვით ამსრულებლის წინააღმდეგ და ხელყოფს მის პიროვნებას. ამსრულებლის პიროვნება დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს წარმოადგენს. ამსრულებელმა არ იცის, რომ მას ხაფანგს უგებენ, აქეზებენ იმისთვის, რათა დანაშაულის ჩადენის მომენტში შეიპყრონ. მან, რომ წამქეზებლის ნამდვილი მიზანი იცოდეს, ცხადია მის მიერ დაგებულ ხაფანგში არ გაებმება. ასე რომ წამქეზებელი და ამსრულებელი არა ერთ, არამედ სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეს ხელყოფს.

### 1.1. ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა, როგორც სისხლის სამართლებრივი ხელყოფის ობიექტი.

ბუნებრივია, რომ სისხლის სამართლებრივი ხელყოფის ობიექტის საკითხს მეცნიერებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ვინაიდან ობიექტად იწოდება კონკრეტული ფასეულება, რომლის დაცვაც სისხლის სამართლის ნორმას აკისრია. დანაშაულთა ობიექტი მოწესრიგებულ მდგომარეობაში ქმნის ღირებულებათა სისტემას, ხოლო ამ სისტემის დაცვა გახლავთ მიზეზი სისხლის სამართლის არსებობისა.

„ბრალეული თანამონაწილეობის“ თეორია ეფუძნება ე.წ კორუფციის იდეას და ამბობს, რომ წამქეზებელი ისჯება ამსრულებლის შეცდენისთვის, ვინაიდან იგი ბრალეულად აქცევს და მას სასჯელს დაამსახურებინებს; ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებას, ახდენს მის ფსიქიკურ დეგრადაციას. ეს მიდგომა საკმაოდ დიდი ხნის არის, რადგან აღნიშნულზე ჯერ პროფესორ შუტცეს მოჰყავდა მაგალითები Corpus Juris Civilis-დან, რაც მოცემული თვალსაზრისის რომაულ წარმოშობას ადასტურებს.<sup>4</sup> იმ დროინდელ მიდგომებს თუ დაუუჯერებთ, დანაშაულის ჩასადენად ადამიანის დაყოლიება მის სულიერ სიკვდილს იწვევდა. ამ იდეამ განსაკუთრებით კანონიკურ სამართალში იმძლავრა, თეოლოგიური მორალის თანახმად, წამქეზებელი ხელყოფს დამოუკიდებელ სამართლებრივ სიკეთეს პირის

<sup>4</sup> St. trechsel. der strafgrund der teilnahme. Bern. 1967. S. 3.

„სულიერ ურღვევობას“ შესაბამისად ამსრულებელს ზიანი ადგება, რადგან მის დაყოლიებას ახდენს დამნაშავე. თუმცა აღსანიშნავია, რომ შესაძლოა სახეზე იყოს შემთხვევა, როცა ადამიანს უკვე მოშლილი აქვს ფსიქიკა. ამ დროს კი საქმე გვექნება ე.წ უვარგის ობიექტთან.

ხშირად აღნიშნავენ, რომ დანაშაულის ჩადენის ობიექტია **დაყოლიებული პირის განწყობილება, იყოს ის კანონმორჩილი**. თუმცა დანაშაულის ობიექტი არა კანონისადმი ერთგულების განწყობილებაა, არამედ ამ განწყობილების მოშლა ადამიანში, რომელიც საფრთხეს უქმნის მთელ საზოგადოებას და სწორედ ეს არის გაკიცხვის საფუძველი. ამ მოსაზრებას არ ეთანხმება პროფ **ტრეხსელი** და მიიჩნევს, რომ ამსრულებელს კანონმორჩილების გრძნობა დანაშაულის ჩასადენად დაყოლიებამდეც ჰქონდა მოშლილი. პროფესორი ტრეხსელი იშველიებს სულიერი დეზინტეგრაციის არგუმენტს და ამბობს, რომ დანაშაული ჩასადენად დაყოლიებით ხდება პიროვნების **განცალკევება საყოველთაოდ მოწესრიგებული საზოგადოებისგან**. ადამიანი უპირისპირდება საზოგადოებრივ სტრუქტურას მისი აზრით სწორედ ეს არის „**სოციალური დეზინტეგრაციის მდგომარეობა**“

უფრო შორს მიდის თავის კვლევაში პროფ. ოთარ გამყრელიძე, როდესაც მიუთითებს, რომ „ხასიათის დეგრადაცია,“ „კანონის წინაშე ერთგულების განწყობის მოშლა“ ან თუნდაც „სულიერი სიკვდილი“ დანაშაულის ჩასადენად დაყოლიების გარეშეც არის შესაძლებელი, მაგრამ „სოციალური დეზინტეგრაცია“ ამ შემთხვევაში გულისხმობს წამქეზებლის მიერ კონკრეტულ ვითარებაში კომფლიქტის წარმოქმნას ადამიანსა და საზოგადოებას შორის.

აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად საჭიროა გამოვიყენოთ დანაშაულის გამომწვევი მიზეზების **ფსიქოლოგიური თეორიები** რომლებიც **პიროვნული რღვევის (დეზინტეგრაციის)** საკითხს ეხმიანება. მათი ანალიზის საფუძველზე სრულიად გასაგები ხდება, რომ ადამიანის პიროვნულ ურღვევობას დიდი მნიშვნელობა აქვს და შესაბამისად ადამიანის ფსიქიკური დეგრადაცია საზოგადოებისთვის მეტად საშიშ მოვლენას წარმოადგენს. ადამიანს ძალზედ დიდი დარტყმა ადგება მისი ღირებულებათა სისტემის მოშლის შედეგად. ყოველივე ეს კი

არა მხოლოდ ზიანს აყენებს ადამიანს, არამედ მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს ადამიანის დანაშაულებრივ ქცევაში. სოციოლოგიური თეორიების თანახმად ადამიანის პიროვნული დეზინტეგრაციის რამოდენიმე გამომწვევი მიზეზი არსებობს, მათ შორის: საზოგადოებრივი ურთიერთობების არასწორი მოწყობა, ადამიანისა და საზოგადოების არასწორი ურთიერთობა, აგრეთვე ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის გამოყოფა სამართლებრივად მოწესრიგებული საზოგადოებისგან და მასთან დაპირისპირება უდიდეს როლს თამაშობს კრიმინალური სუბკულტურის ჩამოყალიბებაში. ყოველივეს გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ როგორც პიროვნული, ასევე სოციალური დეზინტეგრაცია შესაძლებელია განვითარდეს როგორც ერთად ისე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, სხვადასხვა ფორმითა და ხარისხით. ამას გარდა ვიზირებთ მოსაზრებას, რომ ადამიანის პიროვნული ან/და სოციალური დეზინტეგრაცია შეიძლება დანაშაულის ჩადენამდეც მოხდეს სხვადასხვა სახით. გამომდინარე იქიდან, რომ ადამიანის ფსიქიკურ რღვევას არაერთი ფაქტორი განაპირობებს. მაგალითად დეზინტეგრირებულია ადამიანი, რომელიც დამოკიდებულია ალკოჰოლზე ან ნარკოტიკულ საშუალებებზე, მაგრამ სულ სხვა შემთხვევაა, როცა ადამიანის პიროვნული რღვევა დანაშაულის ჩადენის გამოა მომხდარი.

რაც შეეხება უშუალოდ დანაშაულის ობიექტს. ამ საკითხში ნათლად გასარკვევად საჭიროა იმის დადგენა, თუ რამდენად ქმნის ადამიანის პიროვნული ან/და სოციალური დეზინტეგრაცია საზოგადოებრივი საშიშროების ისეთ ხარისხს, რომელიც სისხლის სამართლის ჩარევას მოითხოვს. ჩვენთვის ცნობილია, რომ ადამიანის პიროვნული და სოციალური დეზინტეგრაცია არის დანაშაულის პროვოკაციის ცალკე დელიქტად ჩამოყალიბების მიზეზი. სწორედ ეს გვაძლევს საფუძველს, ცალკე დანაშაულად მივიჩნიოთ დანაშაულის პროვოკაცია. გარდა ამ შემთხვევისა, ადამიანის პიროვნული რღვევა შეიძლება სხვა ისეთმა გარემოებამ გამოიწვიოს როგორცაა მაგალითად სახელმწიფოს მხრიდან რეაგირების დროს არამართლზომიერი მეთოდების გამოყენება. კერძოდ : მუქარა, დაშინება, ძალადობა, იძულება, გამამართლებელ მტკიცებულებათა

განადგურება,მტკიცებულებათა ფალსიფიკაცია,უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ან გადამეტება,უდანაშაულო პირის განზრახ სისხლისსამართებრივ პასუხისგებაში მიცემა,განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება,მოწმეზე ზემომედება,ცრუ ჩვენების მიცემა,ცრუ დასმენა და სხვა რიგი შემთხვევები რომლის სრულყოფილად ჩამოთვლაც გაგვიჭირდება.აღნიშნულიდან გამომდინარე,შიძლება ითქვას რომ ადამიანის პიროვნული დეზინტეგრაცია და მისი ხასიათის რღვევა,რაც გულისხმობს კანონმორჩილების მოშლას გვაძლევს იმის თქმის საფუძველს,რომ საქმე გვაქვს „ანომიასთან“.

## 1.2 ანომია- ( ბერძ. უკანონობა )

სოციოლოგიისა და კრიმინოლოგიის მიხედვით,ანომია გახლავთ ისეთი სოციალური ვითარება,როცა სამართალი თუ სხვა ნორმები ვეღარ განსაზღვრავენ ადამიანთა ქცევას.სამეცნიერო ლიტერატურაში ეს მოვლენა შესატყვისი ტერმინით აღნიშნა ფრანგმა სოციოლოგმა ე.დიურკჰაიმმა ნაშრომში „თვითმკვლევლობა“1897წ.აღნიშნულის თეორიამ განვითარება ჰპოვა 20-ე საუკუნის ამერიკულ სოციოლოგიურ ლიტერატურაში,მაგ: რ.მერტონი; ე.პაუელი და სხვ.მათ ნაშრომებში ანტისოციალური პროცესების ახსნას ანომიის თეორიის მიმდევრები ლამობენ საზოგადოების კულტურული სტრუქტურის სოციოლოგიური ანალიზით.მათი აზრით ყოველი ადამიანის კულტურული სტრუქტურა შეიცავს სხვადასხვა ელემენტებს,რომელთაგან განმსაზღვრელია ამ საზოგადოებაში გაბატონებული მისწრაფებანი და მათი რეალიზაციის ნებადართული საშუალებანი( ე.წ. ინსტიტუციური ნორმები) და როცა ხსენებულ მისწრაფებათა რეალიზაცია ამ საშუალებებით ვეღარ ხერხდება,ანომია წარმოიშობა.იგი მოასწავებს საზოგადოების „სოციალურ კულტურულ“ რღვევას,რომლის კულმინაციაა რევოლუცია.ანომიის დროს,პიროვნებისთვის გაუფასურებულია საზოგადოებრივი ღირებულებანი.მას იპყრობს ცინიზმი,გარიყულობის,სხვათა უგულებელყოფის განწყობილება,ეს კი ნიადაგს უქმნის დანაშაულობას,რაც ანომიის ერთ-ერთი მაჩვენებელია.ანომიის მიმდევრები ცდილობენ დაამტკიცონ,რომ ანტაგონისტურ საზოგადოებაში შესაძლებელია დანაშაულის აღმოფხვრა „კულტურული რეფორმებით“ ანუ

ინსტიტუციურ ნორმებში მოქალაქეთა პირადი მისწრაფებების შესაბამის ცვლილებათა შეტანით.<sup>5</sup>

---

<sup>5</sup> საბჭოთა ენციკლოპედია. 1975. გვ. 470

## თავი 2. დანაშაულის პროვოკაციის ისტორია

დანაშაულის პროვოკაციას საკმაოდ საინტერესო ისტორია აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაშრომის მიზანს ამ ისტორიის სრული მიმოხილვა არ წარმოადგენს, საჭიროდ მიმაჩნია შევხვოთ დანაშაულის პროვოკაციის მცირე ისტორიულ წანამძღვრებს. აღსანიშნავია, რომ დანაშაულის პროვოკაციას ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ქვეყნის ისტორიაში. მისი არსებობა დამოკიდებული იყო ამა თუ იმ ქვეყნისა და პოლიტიკური სისტემის ბუნებაზე. მიზანშეწონილი იქნება, თუ საქართველოსთან დაკავშირებით აღნიშნულ ისტორიულ ექსკურსს დავყოფთ ორ მთავარ ეტაპად: დანაშაულის პროვოკაციის ისტორია რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში საქართველოს ყოფნისას და დანაშაულის პროვოკაციის ისტორია საქართველოში საბჭოთა წყობის პერიოდში.

### 2.1 დანაშაულის პროვოკაცია მეფის რუსეთის იმპერიაში.

დანაშაულის პროვოკაციების საკითხს იყენებდნენ რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ისეთ სტრუქტურებში, როგორც იყო: რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტრო, პოლიციის დეპარტამენტი და მისადმი დაქვემდებარებული საგუბერნიო და საქალაქო ჟანდარმერიის სამმართველოები, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისა და უშიშროების განყოფილების (ოხრანკის) და მისადმი დაქვემდებარებული რეგიონალური განყოფილებები, ასევე დიდი ქალაქების პოლიცემისტერთა სამძებრო განყოფილებებში.

დანაშაულის პროვოკაცია ძირითადად მიმართული იყო უკანონო ბანდფორმირებების წინააღმდეგ. დაჯგუფებაში მოხვედრილ აგენტს გააჩნდა თავისი სამოქმედო გეგმა რაც მდგომარეობდა არაერთი ისეთი მოქმედების შესრულებას, რომელიც გამოავლენდა დანაშაულებრივ დაჯგუფებას. მაგ. აგენტის ინფორმაციის წყალობით ძალოვანმა სტრუქტურებმა წინასწარ იცოდნენ ბანდის გეგმა, დანაშაულის ჩადენის დრო და ადგილი. რუსეთის იმპერიაში არცთუ ისე ხშირად, მაგრამ მაინც ჰქონდა ადგილი დანაშაულის პროვოკაციას პოლიტიკური

კუთხით.სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში თუ ქარხანა-ფაბრიკებში მუშათა შორის ჩანერგილი აგენტი ახდენდა პოლიტიკური დანაშაულის (პოლიტიკური ტერორის,გაფიცვის,დემონსტრაციის და სხვ.) პროვოცირებას.მაგალითად,1905 წლის 9იანვრის ოხრანკის მიერ დანერგილმა აგენტმა,მღვდელმა გიორგი გაპონმა, მოახდინა დანაშაულის პროვოკაცია,მან პეტერბურგში მოაწყო მუშათა გრანდიოზული დემონსტრაცია,რაც საბოლოოდ პოლიციასთან და ჯართან შტაკებით დასრულდა.

ნიშანდობლივია ის ფაქტი,რომ დანაშაულის პროვოცირების პრაქტიკაზე ხელი აიღო მეფის რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრემ, დროებითმა მთავრობამ და დანაშაულის პროვოცირება სასტიკად დაგმო.

## 2.2 დანაშაულის პროვოკაცია საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა კავშირში

დანაშაულის პროვოცირებათა კასკადს გვთავაზობს საბჭოთა კავშირი და კერძოდ საბჭოთა რუსეთი.

საბჭოთა კავშირის ძალოვანი სტრუქტურები: სრულიად რუსეთის საგანგებო კომისია (**ВЧК**), მთავარი პოლიტიკური სამმართველო (**ГПУ**),გაერთიანებული მთავარი პოლიტიკური სამმართველო (**ОГПУ**),ასევე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი (**НКВД**),ფართოდ იყენებდა დანაშაულის პროვოცირებას,როგორც პოლიტიკური ოპოზიციის გამოვლენისათვის ისე კრიმინალური სამყაროსთვის.

უნდა აღინიშნოს,რომ ძალოვანი სტრუქტურების მიერ ჩანერგილი აგენტის მეშვეობით მოხერხდა არაერთი დანაშაულებრივი გაერთიანებისა და კრიმინალის გამომჟღავნება, რის შემდეგაც ხდებოდა მათი ლიკვიდაცია.

ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს „თეთრი მოძრაობის“ წინააღმდეგ მიმართული პროვოცირება, თუმცა „თეთრი არმიების“ მიერ შექმნილი წინააღმდეგობრივი ძალა წარმატებით ახორციელებდა მიზნებს (ამ გაერთიანებაში მონაწილეობას იღებდნენ იმ დროინდელი რუსეთის სარდლობის დაზვერვისა და კონტრდაზვერვის გამოცდილი ოფიცრები) საბჭოთა სპეცსამსახურებმა მაინც მოახდინეს თავიანთი აგენტის ჩანერგვა.აგენტებმა შეძლეს მოძრაობის პროვოცირება

და აჯანყების მოწყობაზე დაყოლიება. ყველა პირი ვინც მონაწილეობას ლებულობდა აღნიშნულ მოვლენებში, აჯანყების დრო და ადგილი რუსული სპეცსამსახურებისთვის წინასწარ იყო ცნობილი.

1917 წლის ბოლოდან საბჭოთა ხელისუფლება სისტემატიურად იყენებდა დანაშაულის პროვოკაციას პოლიტიკური ოპოზიციის წინააღმდეგ. სპეციალურად გადამზადებული აგენტი საზოგადოების დაყოლიებას ცდილობდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებაში (ანტისაბჭოთა ხასიათის პროკლამაციების დაბეჭდვა, ანტისაბჭოური ორგანიზაციის შექმნა და სხვა). მოცემული აგენტურული ქსელი იმდენად ეფექტური იყო, რომ იმ დროიდან ხელისუფლებამ ზედმიწევნით ზუსტად იცოდა ანტისაბჭოური ძალების ყველა მოქმედება და გადადგმული ნაბიჯი.

დანაშაულის პროვოკაციის პრაქტიკას საბჭოთა სამსახურები ფართოდ იყენებდნენ XX საუკუნის 20-იან წლებში და 30-იან წლებში. ამ პერიოდში იოსებ სტალინის პოლიტიკურ ხედვებს დაუპირისპირდნენ მისი თანამებრძოლები : ლევ ტროცკი, ლევ კამენევი, გრიგორი ზინოვიევი, ნიკოლაი ბუხარინი და სხვ. პოლიტიკური ოპოზიციის განადგურების მიზნით სპეციალურად მომზადებულმა პროვოკატორებმა არნახული რაოდენობის პროვოკაციები მოაწყვეს. ისინი სხვადასხვა საბჭოთა კავშირის ქალაქებსა თუ რაიონებში სპეციალურად ქმნიდნენ ე.წ. „ტროცკისტულ“, „ტროცკისტულ-ზინოვიევურ“ და სხვა საიდუმლო ორგანიზაციებს. ამ ადამიანების პროვოცირების ობიექტები იყვნენ ოპოზიციისადმი კეთილად განწყობილი საზოგადოების ნაწილი.

### 2.3 დანაშაულის პროვოკაცია საბჭოთა საქართველოში

დანაშაულის პროვოკაციის პრაქტიკა ფართოდ და მასშტაბურად გვევლინება ასევე საბჭოთა საქართველოშიც 1921-1924 წლებში. ამ დროისთვის ქვეყანაში არსებობდა არაერთი მილიტარიზებული გაერთიანება. მაგალითად (ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი, ბიძინა პირველის რაზმი და სხვა. ზემოთ ხსენებული დაჯგუფებები გახლდათ საბჭოთა წყობის წინააღმდეგი და მათი ბრძოლის მიზანს საბჭოთა

მმართველობის დამხობა წარმოადგენდა.თუმცა პოლიტიკურად დაპირისპირებულ ჯგუფების გარდა საქართველოში არსებობდა რამოდენიმე კრიმინალური დაჯგუფება მაგალითად ( შაქრო მოსულიშვილი,ივანე კრაწაშვილის,ბაგრატ ხონელიას,დიანოზ მოხოვეისა და სხვათა ბანდები).საბჭოთა ხელისუფლებამ ანიშნული გაერთიანებების დამარცხება და მათი სრული ლიკვიდაცია სწორდევ,რომ დაჯგუფებებში დანერგილი აგენტების საშუალებით მოახერხეს.შეიძლება ითქვას,რომ საბჭოთა აგენტებმა პოლიტიკური გაერთიანებების დამარცხება ამ მეთოდით ვერ შეძლეს. ერთ-ერთი ისტორიული ფაქტის თანახმად მათ მცდელობა ჰქონდათ რამდენჯერმე დაენერგათ აგენტი ქაქუცა ჩოლოყაშვილის რაზმში,რაზმის მეთაურმა აგენტის ამოცნობა მოახდინა რის შემდეგაც მათი სრული გეგმა ჩაფლავდა.

მართალია საბჭოთა საქართველოს 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსით დანაშაულის პროვოკაცია ცალკე მუხლად საერთოდ არ იყო გამოყოფილი (მხოლოდ თანამდებობის პირის მიერ ქრთამის პროვოკაციის შემადგენლობა), მაგრამ პროვოკატორი დანაშაულის წამქეზებლობისთვის მაინც უნდა დასჯილიყო.თუმცა, არათუ დასჯა, არამედ საბჭოთა ხელისუფლება პროვოკატორების სრულ წახალისებას ახდენდა.ამ პერიოდისთვის იმდენად ხშირი სახე მიიღო დანაშაულის პროვოკაციამ,რომ უკვე დანაშაულს არა სპეციალურად მომზადებული აგენტი ჩადიოდა, არამედ ჩვეულებრივი მოქალაქე.ზოგიერთი მათგანი ამას პროვოცირებულზე შურისძიების მიზნით აკეთებდა,ზოგიერთი მატერიალური გამორჩენის მიზნით,ზოგიც კი თავისი თვიდან ეჭვის მოშორებისა და საბჭოთა ხელისუფლების მიმართ შეუბღალავი ერთგულების დასამტკიცებლად.გაჩნდა ხალხი რომელთა შემოსავლის ძირითადი წყარო პროვოკაციის სანაცვლოდ მიღებული თანხა წარმოადგენდა.

პროვოკატორების ერთ-ერთი გავრცელებული მიდგომა გზლდათ შემდეგი:პროვოკატორი მიდიოდა მსხვერპლთან და საბჭოთა ხელისუფლებაზე საუბარს უწყებდა,საუბრის ძირითადი შინაარსი ხელისუფლების კრიტიკას შეიცავდა,როდესაც მსხვერპლისგანაც ანტისაბჭოურ პასუხს მიიღებდა,როგორც წესი პროვოკატორი წერდა შეტყობინებას და უგზავნიდა მას ძალოვან სტრუქტურას.ამას

ცხადია პროვოცირებულის დაკავება და მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა მოყვებოდა.

მიუხედავად ამ საკმაოდ გეგმაზომიერი მოქმედებებისა, პროვოკატორს თავისი მიზნები ყოველთვის სისრულეში ვერ მოჰყავდა: მაგალითად ასეთი საუბრებისას მსხვერპლი მას არ პასუხობდა იმავე ანტისაბჭოური მოსაზრებებით, ასეთ შემთხვევაში მისი დასჯა მაიც ხდებოდა, რადგან ის საერთოდ ისმენდა ანტისახელმწიფოებრივ საუბარს და ამ შემთხვევაში მას ბრალად სდებდნენ დანაშაულის შეუტყობინებლობას. **“არაფერი გითქვამს, მაგრამ ხომ ისმენდი? ისმენდი და სათანადო ორგანოებს არ აცნობე”.**

დანაშაულის პროვოკაციის პრაქტიკა გამოიყენებოდა არაერთ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში. მაგალითად, საქართველოს მწერალთა კავშირში სპეცსამსახურების აგენტები ანტისაბჭოთა ხასიათის საუბრებში ითრევდნენ მწერლებს. ასეთმა ქმედებებმა იმსხვერპლეს, მიხეილ ჯავახიშვილი, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი და სხვები.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ დანაშაულის პროვოკაციის ხერხს მიმართავდნენ იმ შემთხვევებშიც როდესაც, პოლიტიკური თანამებრძოლების თავიდან მოშორება სჭირდებოდათ, მაგრამ პირადად მათზე ვერანაირი კომპრომატის მოპოვება ვერ ხერხდებოდა, დანაშაულის პროვოკაცია მიმართული ხდებოდა ოჯახის უახლოეს წევრების მიმართ. მაგალითად, როცა იოსებ სტალინი დაუპირისპირდა სერგო ორჯონიკიძეს, მიზანში ამოიღეს მისი ძმა პაპულია ორჯონიკიძე, სტალინი იცოდა რომ ის თავისი ძმის დაცვას შეეცდებოდა და ამიტომ სერგო ორჯონიკიძე „ხალხის მტრად“ გამოაცხადეს.

დანაშაულის პროვოკაციის ინსტიტუტმა განსაკუთრებით იმძლავრა 1934-1938 წლების რეპრესიების დროს. ამ მოკლე პერიოდში სისხლისსამართლის პასუხისგებაში მიეცა ათეულ ათასობით მოქალაქე, თუმცა ზუსტ თარიღზე მსჯელობა დღემდე მიმდინარეობს.

გაწეული სამსახურისთვის პროვოკატორებს სახელმწიფოს განსაკუთრებული მადლობა არ გადაუხდია. პირიქით გარკვეული დროის გასვლის შემდეგ, როცა უკვე პროვოკატორი ბევრ საქმეში მიიღებდა მონაწილეობას როგორც, წესი, თვითონ

ხდებოდა პროვოკაციის მსხვერპლი,მათ კი ასახლებდნენ ატუსალებდნენ ან ხვერტდნენ.

## თავი 3. დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა

### 3.1. დანაშაულის პროვოკაციის ობიექტური შემადგენლობა

დანაშაულის ობიექტური მხარე ქმედების შემადგენლობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. მის გასარკვევად ჩვენ უნდა გამოვყოთ ობიექტი, საკუთვრივ ქმედება, შედეგი და მათ შორის მიზეზობრივი კავშირი.

დანაშაულის პროვოკაციის ობიექტი არაერთგვაროვნად არის განხილული საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობაში. ასე მაგალითად რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსი განსაზღვრავს ქრთამის პროვოკაციას და არა დანაშაულის პროვოკაციას. კონკრეტულად ამ ქვეყანაში ქრთამის პროვოკაცია მტკიცებულებათა ფალსიფიკაციის სპეციალური ნაირსახეობაა, ამიტომ რფ სსკ-ს 304-ე მუხლი (ქრთამის პროვოკაცია) მოთავსებულია კოდექსის 31-ე თავში, რომელიც ეხება დანაშაულს მართლმსაჯულების წინააღმდეგ.<sup>6</sup> ვინაიდან სისხლის სამართლებრივი ხელყოფის საგანი გახლავთ კონკრეტული ადამიანის თავისუფლება, დანაშაულის პროვოკაცია უნდა იყოს მოთავსებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა თავში.

განვიხილოთ ქმედების თავისებურება ე.ი სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით. „სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად“ გულისხმობს როგორც სიტყვიერ შეცდენას ისე კონკლუდენტურ მოქმედებას - დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნას. ამიტომ ზედმეტად მიგვაჩნია გამოთქმული მოსაზრება, რომ სსკ 145-ე მუხლი შეიცავდეს მითითებას „დანაშაულის ჩასადენად პირობების ხელოვნურად შექმნაზე, როგორც დასჯად ქმედებაზე“.

ობიექტური მხრივ დანაშაულის პროვოკაცია წარმოადგენს ქმედებას, რომელიც მიმართულია პროვოცირებულის დანაშაულში ჩათრევისკენ. პროვოკაციის ობიექტურ შემადგენლობის ელემენტის ქმედების გარკვევასთან დაკავშირებით

---

<sup>6</sup> Уголовный кодекс Российской Федерации. Раздел X. ПРЕСТУПЛЕНИЯ ПРОТИВ ГОСУДАРСТВЕННОЙ ВЛАСТИ. Глава 31. ПРЕСТУПЛЕНИЯ ПРОТИВ ПРАВОСУДИЯ. Статья 304 УК РФ. Провокация взятки, коммерческого подкупа либо подкупа в сфере закупок товаров, работ, услуг для обеспечения государственных или муниципальных нужд.

წარმოიშობა საკმაოდ რთული პრობლემა. მეცნიერთა ნაწილი თავიანთ მოსაზრებებს აგებენ შედეგის უღირსობაზე. მაგალითად ი. დვალიძის აზრით დანაშაულის პროვოკაცია ფორმალური დანაშაულია. მისი პოზიციის თანახმად პროვოკატორს შეუძლია დანაშაულზე ხელის აღება იმ მომენტამდე, სანამ მსხვერპლი (პროვოცირებული) დანაშაულს სისრულეში მოიყვანს<sup>7</sup>. მისი ამგვარი გაგება ჩვენი აზრით, გარკვეულ სირთულეებს წარმოქმნის. მაგ. როგორ უნდა მოიქცეს კანონმდებლობა, როცა პროვოკატორმა შესთავაზა მსხვერპლს (თანამდებობის პირს) თანხა, მან კი ამ ცდუნებას გაუძლო და ფული არ აიღო. ისმის კითხვა თუ პროვოკატორის მიზანი არ განხორციელდა მაშინ, როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ქმედება? ი. დვალიძის თვალსაზრისით აქ საქმე გვექნება დამთავრებულ დანაშაულთან,<sup>8</sup> რაც არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. როგორ შეიძლება დამთავრებულ დანაშაულად მიიჩნიო ქმედება, რომელიც არ დასრულდა. პროფესორ ო. გამყრელიძის აზრით „დანაშაული დამთავრებულად ითვლება იმის მიხედვით თუ როგორ არის ის მოცემული სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში,<sup>9</sup> სსკ 145-ე მუხლში კი დანაშაულის პროვოკაცია დამთავრებულია პირის დაყოლიების მომენტიდან. აქ ათვლის წერტილია პროვოცირების შედეგად ჩადენილი დანაშაული. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ამ შემთხვევაში ყურადღება არ ექცევა გასცდა თუ არა პირი პროვოკატორის მოლოდინს და მიიყვანა თუ არა მან დანაშაული ბოლომდე, დანაშაულის პროვოკაცია ყველა შემთხვევაში სახეზე გვქავს. როგორც ვხედავთ სსკ-ს 145-ე მუხლი ითვალისწინებს მატერიალურ და არა ფორმალურ დანაშაულს.

დანაშაულის პროვოკაციის ობიექტური მხარე ატარებს აშკარად ფინალურ ხასიათს. აქ მთავარია სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზანი, რომლის განსახორციელებლად პროვოკატორმა უნდა დაიყოლიოს სხვა პირი დანაშაულის ჩასადენად. სსკ 145- მუხლში არ არის მითითება, სურს თუ არა პროვოკატორს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა. იგი დაინტერესებულია იმით, რომ მსხვერპლმა

<sup>7</sup> ი. დვალიძე, დანაშაულის პროვოცირების პრობლემა სისხლის სამართალში ჟურნალი „ადამიანი და კონსტიტუცია“ 2005.

<sup>8</sup> ი. დვალიძე, მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციისა და სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაზე. თბ. 2008. გვ. 123

<sup>9</sup> ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. თბ. 2005. გვ. 159

დაიწყოს ქმედება და მიაღწიოს მან დასჯად სტადიას.<sup>10</sup> აღნიშნული მიდგომა მიგვაჩნია უფრო მართებულად, რადგან პროვოკატორის ძირითადი მიზანია პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. გასათვალისწინებელია, რომ პროვოკაციის შედეგია შეცდენილი პირის მიერ დანაშაულის ჩადენა. გამომდინარე იქიდან, რომ დანაშაულის, როგორც, მცდელობა, ასევე, დამთავრება სისხლისსამართლებრივი პასუხისგების საფუძველია. შეიძლება დავასკვნათ, რომ დანაშაულის პროვოკაციის არსებობისთვის ამ კომპონენტებს მნიშვნელობა არ აქვს. მეტი დამაჯერებლობისთვის განვიხილოთ რამოდენიმე მაგალითი.

მოსაცდელში ერთ-ერთ მგზავრს დაუდეს წინ ჩემოდანი და თხოვეს თავი მოემძინარებინა. ამ გზით დაიჭირეს ქურდი. როგორც ასკვნიან დანაშაულის პროვოკატორმა პასუხი უნდა აგოს სსკ 145 -ე მუხლით, ხოლო პროვოცირებულმა კი დანაშაულის მცდელობისთვის.

\* \* \*

ა მტრულად არის განწყობილი ბ-ს მიმართ, ა-მ იცის რომ ბ-ს ძველი ანგარიშები აქვს ც-სთან და აქეზებს ბ-ს მის მოსაკლავად. ა-ს არ სურს ც-ს სიკვდილი, მისი მიზანია ამხილოს ბ მკვლელობის მცდელობაში და ციხეში ჩასვას. როცა დანაშაულის ჩადენაზე დაიყოლია, ა-მ მისცა ბ-ს იარაღი, რომელიც დატენა უვარგისი ტყვიებით. ა-ს იმედი აქვს რომ ბ ენდობოდა მას და არ შეამოწმებდა ტყვიების ვარგისიანობას.

მისი ვარაუდი არ გამართლდა. ბ-მ იარაღი შეამოწმა და როცა ნახა, რომ მან არ გაისროლა, გამოცვალა ტყვიები და მოკლა ც.

ამ მაგალითში, როგორც ვრწმუნდებით პროვოკატორს არ სურს ც-ს მკვლელობა და არც უშვებს მას. სახეზე გვაქვს გაუფრთხილებლობითი დამოკიდებულება თვითიმედოვნების სახით. მან არ შეიძლება პასუხი აგოს ბ-ს მიერ ჩადენილ მკვლელობაში, რადგან თანამედროვე სისხლის სამართალი უარყოფს

---

<sup>10</sup> თ.ებრალიძე. დანაშაულის პროვოკაცია—სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ. თბ. 2008. გვ 217  
იხ. იქვე, გვ 224

გაუფრთხილებლობითი თანამონაწილეობის შესაძლებლობას. გამომდინარე აქიდან ა პასუხს აგებს დანაშაულის პროვოკაციისთვის.

დანაშაულის პროვოკაციის ობიექტური მხარის ცნების გარკვევა ჩვენთვის არ იქნება სრულყოფილი, თუ კვლავ არ დავუბრუნდებით სსკ 145-ე მუხლს და არ განვიხილავთ მას საკანონმდებლო ტექნიკის დონეზე. აღნიშნული მუხლის კონსტრუქცია უშვებს დანაშაულის პროვოკაციას, მაგრამ გამორიცხავს მომზადებას. ამიტომ დაუმთავრებელი დანაშაულის საკითხი ბოლომდე არაა გარკვეული, როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაში.

სსკ მე-18 მუხლის თანახმად, დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისთვის განზრახ პირობების შექმნა. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაწესებულია მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისთვის.თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი მომზადების ინსტიტუტს აწესებს ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვისაც. დანაშაულის პროვოკაციის საზოგადოებრივი საშიშროების გათვალისწინებით მიმაჩნია, რომ მე-18 მუხლის მე-2 ნაწილში გათვალისწინებული უნდა იყოს ასევე სსკ 145-ე მუხლი.

ამას გარდა სსკ 145-ე მუხლში საჭიროა ცვლილების შეტანა. კერძოდ, მეორე ნაწილის დამატება „მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია“ აღნიშნული ცვლილება დაგვეხმარება,როგორც დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემის გადაწყვეტაში,ასევე დანაშაულის მომზადების საკითხში.

### 3.2 დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობა

დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობის ძირითადი ელემენტია განზრახვა.სსკ მე-9 მუხლის თანახმად,პირდაპირი განზრახვის დროს პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და სურდეს ეს შედეგი, ანდა ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის გარდაუვალობას.არაპირდაპირი განზრახვის დროს კი პირს გაცნობიერებული უნდა

ჰქონდეს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და არ სურდეს ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდეს ან გულგრილად ეკიდებოდეს მის დადგომას.საინტერესოა განზრახვის რომელ სახეს უშვებს დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობა?განვიხილოთ დაწვრილებით აღნიშნული საკითხი. მივმართოთ თ.ებრალიძის მიერ მოყვანილ მაგალითს: ა. აქეზებს ბ-ს ც-ს მოსაკლავად ა- არ სურს ც-ს სიკვდილი მისი მიზანია ამხილოს ბ. მკვლელობის მცდელობაში. ა-მ მისცა ბ-ს იარაღი, რომელიც დატენა უვარგისი ტყვიებით, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ შეიძლება ბ-მ იარაღი შეამოწმოს, უვარგისი ტყვიები გამოცვალოს და მოკლას ც. ესეიგი არ,სურს შედეგი,მაგრამ შეგნებულად უშვებს, გულგრილად ეკიდება მის დადგომას.<sup>11</sup>

როგორც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ,დანაშაულის პროვოკაციის არსებობისთვის პირს უნდა ამოძრავებდეს პროვოცირებული პირის სისხლისსამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზანი,რაც ნიშნავს შემდეგს:პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობა და ითვალისწინებდეს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას.მიზეზობრივი კავშირი წყდება მხოლოდ ამ შედეგით.

არასწორი მსჯელობა იქნება თუ პროვოკატორის ქმედებიდან გავაზამთ მიზეზობრივ კავშირს შეცდენილი პირის მიერ ჩადენილ ქმედებამდე, რადგან ამ შემთხვევაში მივიღებთ ორი სახის განზრახვას. პირველი პირდაპირი განზრახვა დანაშაულის პროვოკაციის შედეგისადმი და მეორე არაპირდაპირი განზრახვა პროვოცირებულის მიერ ჩადენილ ქმედებასთან მიმართებით.თანამონაწილეობის ინსტიტუტს ამ შემთხვევაში ვერ დავეყრდნობით, რადგან ერთიან უმართლობაზე არ შეიძლება ლაპარაკი. მეორე მხრივ არაპირდაპირ განზრახვასაც ვერ გამოვიყენებთ, რადგან ის ეკუთვნის იმ უმართლობას,რომელიც არსებითად განსხვავდება დანაშაულის პროვოკაციის უმართლობისგან.

---

<sup>11</sup> იხ. თ.ებრალიძე.დანაშაულის პროვოკაცია—სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი:დანაშაული ადამიანის ჭინაღმდეგ თბ.2008,გვ 238

აღნიშნული მოსაზრება გამოთმულ იქნა იმ კონკრეტული შემთხვევისგან, როდესაც პროვოკატორი მიზნად ისახავს დანაშაულის პროვოკაციის განხორციელებას დანაშაულის მცდელობის სტადიაზე. მაგრამ დავუშვათ, რომ პირს სურს პროვოცირებულმა თავისი ქმედება ბოლომდე მიიყვანოს, რადგან შემდგომში მისცენ ის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში. მოცემულ სიტუაციაში ნაწილობრივ ხომ ემთხვევა შეცდენილი პიროვნებისა და პროვოკატორის განზრახვა?

იმისათვის, რომ უფრო დეტალურად გავიგოთ განზრახვის თავისებურება დანაშაულის პროვოკაციის დროს, აუცილებელია შევხვით პირდაპირი განზრახვის ინტელექტუალურ და ნებელობით მომენტებს.

განზრახვის ინტელექტუალური მხარე გულისხმობს: 1) ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობის გაცნობიერებას; 2) მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას და 3) ასეთი შედეგის განხორციელების გარდაუვალობის გათვალისწინებას.

როგორც ვხედავთ, ზოგადად შემადგენლობის განხორციელების დროს განზრახვის ინტელექტუალური მომენტი, ქმედებასთან ერთად უნდა მოიცავდეს აგრეთვე შედეგს და მიზეზობრივ კავშირს, ქმედებასა და შედეგს შორის. მაგალითად გამყიდველს უაქციზო საქონლის ნაკლებ ფასად შეძენის შეთავაზების დროს საკმარისია პროვოკატორს წარმოდგენილი ჰქონდეს სისხლის სამართლის კანონით აღწერილი ქმედების ნიშნები. თუმცა, როგორც პროფესორი ო. გამყრელიძე აღნიშნავს სასამართლო არ არის ვალდებული ამტკიცოს, ბრალდებულმა იცოდა თუ არა ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობრივი ხასიათი.<sup>12</sup>

რაც შეეხება განზრახვის ინტელექტუალური ელემენტის მეორე და მესამე ნაწილს, ყველა შემთხვევაში გასათვალისწინებელია, რომ პროვოკატორი პასუხისგებაში მიცემას პროვოცირებული დანაშაულის გამო გარდაუვალად მიიჩნევს, სახეზე გვაქვს პირდაპირი განზრახვა.

<sup>12</sup> იხ. ო. გამყრელიძე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტებანი თბ. 2005, გვ. 97

ამასთან ერთად ჩნდება კითხვა: დასაშვებია თუ არა განუსაზღვრელი არაკონკრეტიზებული განზრახვა დანაშაულის პროვოკაციის დროს? განუსაზღვრელი არაკონკრეტიზებულია ისეთი განზრახვა, როცა პროვოკატორს ზუსტად არ აქვს განსაზღვრული რა შედეგი მოჰყვება მის მოქმედებას. ნათელი მაგალითია სხეულის დაზიანება, ამ შემთხვევაში პირს გათვლილი არ აქვს წინასწარ ის თუ რა ხარისხის დაზიანებას მიიღებს მსხვერპლი (მძიმეს, ნაკლებად მძიმეს, მსუბუქს). როგორც წესი მოცემულ სიტუაციაში დანაშაული დაკვალიფიცირდება შედეგზე დაყრდნობით. მიმაჩნია, რომ დანაშაულის პროვოკაციის დროს არაკონკრეტიზებული განზრახვა არ არსებობს, რადგან პროვოკატორს ზუსტად აქვს წარმოდგენილი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომა.

ასევე მიუღებელია ალტერნატიული განზრახვა, როცა მოქმედისთვის ორი სხვადასხვა შედეგის დადგომაა მისაღები. დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევაში ალტერნატიული განზრახვა ვერ გვექნება, რადგან პროვოკატორისთვის მთავარია მსხვერპლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა.

პირდაპირი განზრახვის მეორე ნიშანს წარმოადგენს, ნებელობითი მხარე, სურვილი იმისა რასაც მოქმედი აკეთებს. დანაშაულის ჩადენა არ არის სურვილის ობიექტი. უმთავრესი პასუხისმგებლობაში მიცემის სურვილია.

დანაშაულის პროვოკაციის სუბიექტური შემადგენლობის განხილვისას უნდა დავადგინოთ საკითხი: აფუძნებს თუ არა მოტივი უმართლობას აღნიშნული ქმედების კვალიფიკაციის დროს? „შემადგენლობის სუბიექტური მხარის აღწერის დროს, - აღნიშნავს ოთარ გამყრელიძე, - კანონმდებელი ზოგჯერ მიუთითებს მოტივზე, რომელიც, მიზნის ანალოგიურად ამსუბუქებს ან ამკაცრებს სასჯელს. სსკ 145-ე მუხლში განისაზღვრება უმართლობის ის ტიპი რომელსაც აფუძნებს მიზანი და არა მოტივი. ამრიგად დანაშაულის პროვოკაციის დროს მოტივს არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.<sup>13</sup>

---

<sup>13</sup> იხ. ი. დვალაძე. მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა. 2008, გვ. 74

### 3.3 დანაშაულის პროვოკაციის მცდელობა

საინტერესო იქნება ასევე შევხვით დანაშაულის პროვოკაციის მცდელობის ეტაპსაც. გავარკვიოთ, არსებობს თუ არა იგი და თუ არსებობს საიდან იწყება და სად მთავრდება, როდის არის დანაშაულის პროვოკაცია დამთავრებული.

როგორც ცნობილია, დანაშაული არსებობს მატერიალური შემადგენლობის, რომელსაც მცდელობის ეტაპი გააჩნია და ფორმალური შემადგენლობის, რომელსაც მცდელობის ეტაპი არ გააჩნია. ანუ პირველ შემთხვევაში, დანაშაული შეიძლება დაუმთავრებელ ანუ მცდელობის სტადიაზე შეწყდეს. ხოლო მეორე შემთხვევაში დანაშაული მცდელობის სტადიაზე ვერ შეწყდება, რადგან იგი დამთავრებულია მას შემდეგ, რაც მომზადების სტადია დასრულდება და ამსრულებელი ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩასადენად. თუ როგორი შემადგენლობის იქნება ყოველი დანაშაული, დამოკიდებულია კანონმდებლობის ამ დანაშაულის მიმართ მიდგომაზე. ასე მაგალითად, ქრთამის აღება სსკ ძველი რედაქციის თანახმად დამთავრებული იყო ფულის აგდაცემის მომენტიდან, ანუ შეიძლებოდა ქრთამის ამღებს ქრთამის აღება დაეწყო და ვერ დაესრულებინა, შესაბამისად დანაშაული შეწყვეტილი იყო მცდელობის ეტაპზე, ანუ ქრთამის აღება მატერიალური დანაშაული იყო. შემდგომში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ქრთამის აღება დამთავრებულია ფული მოთხოვნის ან დაპირების მოთხოვნი მომენტიდან. ამ შემთხვევაში მცდელობის ეტაპი აღარ არსებობს და დანაშაული მომზადების ეტაპის დასრულების და დანაშაულის ჩასადენად მიმართული ქმედების განხორციელების შემდეგ, ყველა შემთხვევაში დამთავრებულია.

მატერიალური დანაშაული უფრო ნაკლებად მკაცრი სამართლებრივი პოლიტიკის მანიშნებელია<sup>14</sup>. ეს იმ მიზეზით არის გამოწვეული, რომ ის შეიძლება შეწყვეტილ იქნას მცდელობის ეტაპზე და ამ შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენი პირი დაისჯება დანაშაულის მცდელობისათვის. თუ გაგვაჩნია დანაშაულის ფორმალური

<sup>14</sup> გურული.პ. დანაშაულის პროვოკაცია მეცნიერულ—სამართლებრივი ანალიზი. თბ. 2006

შემადგენლობა,დამნაშავე,ყველა შემთხვევაში დამთავრებული დანაშაულისათვის აგებს პასუხს.ანუ სასჯელის ინდივიდუალიზაციის დროს პირველ შემთხვევაში დანაშაულის ჩამდენ პირს სასამართლომ შეიძლება ბევრად მსუბუქი სასჯელი დაუწესოს,სასჯელის მაქსიმალური და მინიმალური ზომისა და მოსამართლეთა სახელმძღვანელო დებულებათა გათვალისწინებით.ფორმალური დანაშაულის ჩამდენს კი ამის იმედი ვერ ექნება.<sup>15</sup>მამასადამე თუ დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა მისი ჩამდენი პირი მეტად მკაცრად ისჯება ვიდრე იგი დაისჯებოდა,მის მიერ ჩადენილი მატერიალური შემადგენლობისა,რომ ოფილიყო.

დავუბრუნდეთ დანაშაულის პროვოკაციას.აქვს თუ არა ამ დანაშაულს მცდელობის ეტაპი? ამის გასაგებად ჩვენ ზედმიწევნით ზუსტად უნდა წავიკითხოთ კანონი და უნდა გავანალიზოთ,თუ რას გულისხმობს იგი.იმის დასადგენად მატერიალურია თუ ფორმალური დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა,საჭიროა დავადგინოთ,როგორი ქმედებაა ასახული მის შემადგენლობაში.თუ ასახულია თავისი შინაარსით აშკარა დასრულებული ქმედება ეს ნიშნავს,რომ საჭიროა ამ ქმედების დასრულებულ სტადიამდე მიყვანა,რათა დანაშაული დამთავრებულად ჩაითვალოს.ხოლო თუ ასახულია თავისი შინაარსით აშკარად დასრულებული ქმედება,მაშინ ჯერ კიდევ დაუსრულებელი ქმედების ჩადენა დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს.

მაგალითისათვის შეგვიძლია ავიღოთ სსკ-ის 311-ე მუხლი,რომლის შემადგენლობაც მოიცავ,როგორც დამთავრებულ,ისე დაუმთავრებელ ქმედებებს.პირველი მათგანია უცხოეთის სადაზვერვო სამსახურში შესვლა და მეორე —საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ.მუხლის შემადგენლობაში ასახული პირველი ქმედება აშკარად დამთავრებული სახითაა მოცემული.ანუ,იგი ჩადენილია მაშინ,როცა პირი შევა უცხოეთის სადაზღვეო სამსახურში.<sup>16</sup>თუ პირი მოისურვებს უცხოეთის სადაზღვეო სამსახურში შესვლას,ჩაიდენს განზრახ ქმედებას (ქმედებებს) რომლებიც ამ მიზნის მიღწევისკენაა მიმართული,მაგრამ მისთვის სასურველი შედეგი თუ ვერ დადგება,იგი ჩაიდენს დანაშაულის ტიპიურ

---

<sup>16</sup> გურული.პ. დანაშაულის პროვოკაცია მეცნიერულ—სამართლებრივი ანალიზი. თბ.2006

მცდელობას. ზემოხსენებულ ვითარებაში ამ პირის ქმედება ზუსტად შეესაბამება სსსკ-ის მე-19 მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციას (დანაშაულის მცდეობა). ხოლო, თუ პირი მოისურვებს განახორციელოს საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ და ჩაიდენს განზრახ ქმედებას ამ მიზნით, იგი ჩაიდენს დამთავრებულ დანაშაულებრივ ქმედებას—საქმიანობას საქართველოს წინააღმდეგ. ეს იმიტომ, რომ ნებისმიერი ქმედება საქართველოს წინააღმდეგ, ესაა საქმიანობა საქართველოს წინააღმდეგ და თუნდაც მისმა ჩამდენმა პირმა სასურველ შდეგს ვერ მიაღწიოს, მის მიერ ჩადენილი დამთავრებული ქმედება—საქმიანობა მაინც სახეზეა.

იმისთვის, რომ ზუსტად გავიგოთ მუხლის შემადგენლობის ნიშანი დამთავრებულ ქმედება სგულსხმობს თუ დაუმთავრებელს, უნდა დავუკვირდეთ ამ სიტყვის ზუსტ მნიშვნელობას ქართულ ენაში. მოქმედებას ან უმოქმედობას ქართულ ენაში ზმნა გამოხატავს. ზმნას კი ახასიათებს სრული და უსრული ასპექტი. სწორედ ზმნის ასპექტზე დაკვირვებით უნდა დავადგინოთ ეს ზმნა დასრულებულ ქმედებას გამოხატავს, თუ დაუსრულებელს. მაგალითად, სიტყვა კეთებას „უსრული ასპექტი აქვს და გამოხატავს დაუსრულებელ ქმედებას, ხოლო „გაკეთებას“ სრული ასპექტი აქვს და გამოხატავს დასრულებულ ქმედებას. ასე უნდა დავაკვირდეთ მუხლის შემადგენლობაში მოცემულ ქმედების აღმნიშვნელ ზმნებს რაც შეეხება დანაშაულის პროვოკაციას, ამ მუხლის შემადგენლობაში მოცემულია ქმედება —დაყოლიება და მთელი სირთულეც ეს გახლავთ. სიტყვა დაყოლიება სრულ და უსრულ ასპექტში ფორმას არ იცვლის და ამიტომ შეუძლებელია ზუსტად დავადგინოთ რა ივარაუდა კანონმდებელმა სიტყვა „დაყოლიებაში“—დაყოლიება, ანუ, როცა პირი იყოლიებს სხვას, თუ როცა პირი დაყოლიებს სხვას. თუ აქ იგულისხმება, რომ პირი იყოლიებს, ეს ნიშნავს, რომ საქმე გვაქვს დაუმთავრებელ ქმედებასთან, ანუ ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ქმედების ჩადენა დამთავრებულ დანაშაულს გვაძლევს ანუ სახეზეა დანაშაულის ფორმალური შემადგენლობა და შესაბამისად, მცდელობის ეტაპი არ არსებობს. თუ კანონმდებელმა იგულისხმა რომ პირი დაყოლიებს სხვა პირს დანაშაულის ჩადენაზე, მაშინ გამოდის, რომ სახეზეა დანაშაულის მატერიალური შემადგენლობა და შესაბამისად მცდელობის ეტაპიც არსებობს, რაც წამქეზებლობის

შემთხვევაში სსსკ 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად კონკრეტული დანაშაულის გათვალისწინებით, დანაშაულის მომზადებად შეფასდებოდა.

საბოლოოდ როგორ გადავწყვიტოთ საკითხი? დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა მატერიალურია თუ ფორმალური? რადგან მუხლის შინაარსის დადგენა ზედმიწევნით ზუსტად ვერ ხერხდება, მართებული იქნება ვთქვათ, რომ დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობა მატერიალურია. ეს იმიტომ, რომ ასე დანაშაულის ჩამდენი პირი უფრო მსუბუქ მდგომარეობაში აღმოჩნდება. ანუ, “უდანაშაულობის პრეზუმფციის” პრინციპის (სსსკ-ის მე-10 მუხლის მე-4 ნაწილი) მსგავსად ჩვენც ყველა ეჭვი დანაშაულის პირის სასარგებლოდ უნდა გადავწყვიტოთ. შესაბამისად, მართებული იქნება, თუ ქმედების შეფასებისას სიტყვა „დაყოლების“ ჩვენს მიერ შემოთავაზებული ვარიანტებიდან მატერიალური შემადგენლობის ვარიანს ავირჩევთ.<sup>17</sup>

---

<sup>17</sup> გურული.პ. დანაშაულის პროვოკაცია მეცნიერულ—სამართლებრივი ანალიზი. თბ.2006

## თავი 4. ბრალეულობა დანაშაულის პროვოკაციის დროს

ბრალი არის ბრალდებულის გაკიცხვა ჩადენილი უმართლობის გამო. გაკიცხვა, ამ შემთხვევაში უმართლობის შეფასება ხდება ინდივიდუალურ, პერსონალურ დონეზე, მაშინ, როცა უმართლობა ობიექტური, არაპერსონალური შეფასებაა:

სისხლისსამართლის კანონით აღწერილი ქმედების შეფასება ორ საფეხურიანია. ჯერ ფასდება ქმედება ობიექტური სამართლის მიხედვით, იმის დასადგენად ეწინააღმდეგება თუ არა ის მოქმედ სამართალს, ანუ არის თუ არა ქმედება მართლსაწინააღმდეგო. შემდეგ ფასდება უმართლობა პერსონალურ დონეზე ბრალის დასადგენად.<sup>18</sup>

დანაშაულის პროვოკაცია ხორციელდება პირდაპირი განზრახვით. ამიტომ აქ უნდა გავითვალისწინოთ ნორმატიული თეორიის შემდეგი დებულება „განზრახვა წმინდა ფსიქოლოგიური კატეგორიაა. ის შეიძლება იყოს დადებითიც და განზრახვას შეფასება სჭირდება და ეს უნდა მოხდეს ბრალის დადგენის დროს“.<sup>19</sup>

როცა უმართლობას დაადგენს სასამართლო, იწყებს ამ უმართლობის ბრალად შერაცხვას მისი ჩამდენისადმი, თუკი რასაკვირველია, არ არის ბრალის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. შერაცხვის დროს მხედველობაშია მისაღები: 1) ჩადენილი უმართლობის ხარისხი, 2) ბრალის ხარისხი. ამის მიხედვით შერაცხვა შეიძლება იყოს 1) სრული, 2) გაძლიერებული ან 3) შემცირებული. შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრება და სასჯელის სახისა და ზომის განსაზღვრა ამ გრადაციაზეა დამოკიდებული. ქმედების ბრალად შერაცხვას წინ უნდა უძღვოდეს მართლწინააღმდეგობის შედეგის დადგენა, ე.ი იმის დადგენა იცოდა თუ არა განსასჯელმა მის მიერ განხორციელებული ქმედების უმართლობის შესახებ.

სრული შერაცხვის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ჩადენილი უმართლობის ხარისხი. ამისათვის აუცილებელია, დადგინდეს განზრახვა, რაც

<sup>18</sup> იხ. გამყრელიძე, ო. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება. ზოგადი ნაწილი. თბ. 2005. გვ. 85-86

<sup>19</sup> იხ. იქვე. გვ. 86-87

უმართლობის სრული შერაცხვის შესაძლებლობას ქმნის.მაგ.არაერთგზისი უფრო მეტი ხარისხის უმართლობა,ვიდრე მითვისების ერთი აქტი.არაერთგზისობის დროს იზრდება ბრალის ხარისხიც.

ზოგჯერ ჩადენილი უმართლობა დამნაშავეს შეიძლება გაძლიერებულად ან შემცირებულად (შეღუდულად) შეურაცხოს, ე.ი,მისი ბრალის ხარისხი მეტი ან ნაკლები უნდა იყოს ისე,რომ ეს მეტნაკლებობა ბრალისა არ იყოს დამოკიდებული უმართლობის ხარისხზე.მაგ,ნაკლებად მძიმე დანაშაულის ბრალის ხარისხი ნაკლებია,ვიდრე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია.

სანამ უშუალოდ შევხებით დანაშაულის პროვოკაციის ბრალეულობას,მოკლედ განვიხილოთ ბრალის საკითხის მდგომარეობა ქართულ ლიტერატურაში.

როგორც,ცნობილია თ.წერეთელი არ ეთანხმებოდა ნ.დურმანოვის აზრს,რომლის მიხედვითაც მართლწინააღმდეგობა წარმოუდგენელია ბრალის გარეშე.შემდეგ იმავე მიზეზით უარყოფილი იყო ვ.კუდრიაცევის შეხედულებაც,რომ ბრალი შეიძლება არ ჩაითვალოს მართლწინააღმდეგობის ცნების აუცილებლობის ელემენტად მხოლოდ სამოქალაქო სამართალში,ვინაიდან ეს უკანასკნელი ცნობს პასუხისმგებლობას ბრალის გარეშეც.<sup>20</sup>

თ.წერეთელის არგუმენტაციის თანახმად,სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით,სისხლისსამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს,ვინც განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩაიდინა სისხლისსამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება.მაშასადამე,სისხლისსამართლის კანონით გათვალისწინებული საზოგადოებრივად საშიში ქმედება შეიძლება ჩადენილ იქნას განზარახვისა და გაუფრთხილებლობის,ე.ი ბრალის გარეშე და ასეთ შემთხვევაში იგი პასუხისმგებლობას არ იწვევს.ქმედება შეიძლება არ იყოს ბრალეული მაგრამ იყოს მართლსაწინააღმდეგო.როგორც აღნიშნავს ო.გამყრელიძე,თ.წერეთელი სრულიად

<sup>20</sup> გ.აბესაძე.დანაშაულის პროვოკაცია.თბ.2013. გვ.134-135

სამართლიანად მიიჩნევს, რომ ბრალი უნდა წარმოადგენდეს დანაშაულის ცნების სპეციაურ მართლწინააღმდეგობისაგან დამოუკიდებელ ნიშანს.<sup>21</sup>

განვიხილოთ დანაშაულის პროვოკაციის გამომრცხველი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

სსკ იცნობს გამომრიცხველ და შემამსუბუქებელ გარემოებებს. კოდექსის 33-ე მუხლის მიხედვით სისხლისსამართლის კოდექსით გათვალისწინებული ქმედება არ შეერაცხება ბრალად იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენამდე არ შესრულებია 14 წელი.

აქედან ნათელია, რომ დანაშაულის პროვოკაცია ბრალად არ შეერაცხება პირს, თუ მას არ შესრულებია 14 წელი, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის პროვოკაციისთვის სისხლის სამართლის კოდექსი ვერ დაადგენს პასუხისმგებლობას 12 წლის ასაკიდან.

სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი და კერძო ნაწილების მოთხოვნათა შესაბამისად, სისხლისსამართლებრივ მეცნიერებაში დანაშაულის ამსრულებელი ორ სახედ იყოფა. საერთო ამსრულებელს წარმოადგენს პირი, რომელიც პასუხს აგებს კონკრეტული დანაშაულის ჩადენისათვის. სპეციალური ამსრულებელია პირი, რომელსაც უნდა გააჩნდეს სპეციალური ნიშანი, რათა დადგეს მისი პასუხისმგებლობის საკითხი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არასრულწლოვნება წარმოადგენს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებას და წარმოადგენს შემცირებული შერაცხვის საფუძველს, ხოლო მცირეწლოვნობა კი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გამომრიცხავ გარემოებას და ის არ არის ამსრულებლის ნიშანი. ეს უკანასკნელი განპირობებულია იმით, რომ არასრულწლოვნებს არასაკმარისად აქვთ გაცნობიერებული დანაშაულის ჩადენის მომენტი და მისი თანმდევი შედეგები, რაც ერთის მხრივ განპირობებულია ინტელექტუალური განვითარების დაბალი დონით და მეორე მხრივ დაკავშირებულია ფსიქიკურ პროცესთან, რომელიც თავისებურად მიმდინარეობს.

---

<sup>21</sup> გ. აბესაძე. დანაშაულის პროვოკაცია. თბ. 2013. გვ. 148

აღსანიშნავია, რომ შერაცხადობა უკვე ნიშნავს პირის მიერ სსკ-ით გათვალისწინებული ასაკის მიღწევას. საწინააღმდეგო მოსაზრებიდან გამომდინარეობს ალოგიკური დასკვნა, რომ ასაკის დაუდგენლობის შემთხვევაში არ გვეყოლება მისი ჩამდენი ამსრულებელი, რაც პრაქტიკულად გამორიცხულია.

დანაშაული ყოველთვის ჩადენილია ადამიანის მიერ და მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება დამოკიდებულია მის შერაცხვაუნარიანობაზე. როგორც აღნიშნავს პროფესორი ო. გამყრელიძე „ზოგჯერ სისხლის სამართლის კოდექსით აღწერილი ქმედება, თუმცა მართლსაწინააღმდეგოა, მაგრამ ეს ქმედება ამა თუ იმ გარემოებათა გამო ბრალად არ შეერაცხება მის ჩამდენს. სწორედ ბრალის გამომრიცხველ ერთ-ერთ გარემოებას წარმოადგენს სისხლისსამართლის კოდექსის 33-ე მუხლი.“

საქართველოს სისხლისსამართლის 34-ე მუხლის თანახმად „ ამ კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედება ბრალად არ შეერაცხება იმას, ვისაც ამ ქმედების ჩადენს დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობის, ფსიქიკის დროებითი აშლილობის, ჭკუასუსტობის ან სხვა ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო გაცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.“<sup>22</sup>

აგრეთვე თუ დანაშაული შერაცხადმა ჩაიდინა, მაგრამ იგი ფსიქიკურად დაავადდა განაჩენის გამოტანამდე, რის გამოც არ შეუძლია ანგარიში გაუწიოს თავს ან უხელმძღვანელოს მას, პირი სასამართლოს მიერ შეფარდებულ სასჯელს გამოჯანმრთელებამდე მოიხდის შესაბამის სამედიცინო (სამკურნალო) დაწესებულებაში.

სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის კომენტარებისას პროფ. ო. გამყრელიძე აღნიშნავს, ზემოთ ხსენებულ მუხლში საკმარისადაა მითითება იმ

<sup>22</sup> გ. აბესაძე. დანაშაულის პროვოკაცია. თბ. 2013. გვ. 140

ფსიქიკურ დაავადებათა შესახებ,რომელთა შედეგად წარმოუდგენელია ადამიანისთვის ბრალის შერაცხვა.<sup>23</sup>

სისხლის სამართლის 35-ე მუხლი იცნობს ასევე შეზღუდულ შერაცხადობას.ამ მუხლის თანახმად 1,,სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან არ თავისუფლდება სრულწლოვანი,რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს იმყოფებოდა შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში,ესე იგი ფსიქიკური დაავადების გამო არ შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედებების ფაქტობრივი ხასიათი ან მართლწინააღმდეგობა ანდა ეხელმძღვანელა მისთვის.

2.შეზღუდულ შერაცხადობა სასამართლო ითვალისწინებს სასჯელის დანიშვნის დროს.

სისხლისსამართლის კოდექსი ასევე ითვალისწინებს ბრალის გამომრიცხველ ისეთ გარემოებებს,როგორცაა შეცდომა,ბრძანების ან განკარგულების შესრულება.ასევე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან სხვა არაბრალეული ქმედების დროს.ეს უკანასკნელი გულისმობს ქმედების ჩადენას ისეთ გარემოებებში,რომლებიც არ არის მოცემული სისხლის სამართლის კოდექსში,მაგრამ სავსებით აკმაყოფილეს ამ ქმედების არაბრალეულობის პირობებს.<sup>24</sup>

---

<sup>23</sup> გ.აბესაძე.დანაშაულის პროვოკაცია. თბ.2013.გვ,149

<sup>24</sup> ო.გამყრელიძე.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება.თბ.2008.გვ,252-253

## თავი 5. დანაშაულის პროვოკაცია და წამქეზებლობა

საბჭოთა საქართველოს 1928 წლის სისხლის სამართლის კოდექსისაგან განსხვავებით, საქართველოს 1999 წლის კოდექსი წამქეზებლობისგან განასხვავებს დანაშაულის პროვოკაციას. ურიგო არ იქნება თუ გავარკვევთ, რით არის გამოწვეული კანონმდებლის ეს ნაბიჯი და რა განაპირობებს წამქეზებლობის დანაშაულის პროვოკაციისგან გამიჯვნას.

არსებობს ასეთი მოსაზრება, რომ წამქეზებელს და ამსრულებელს საერთო მიზანი ამოძრავებთ, ანუ ისინი ერთიან უმართლობას ჩადიან და თუ ამსრულებელსა და წამქეზებელს სხვადასხვა მიზნები გააჩნიათ გამოდის რომ თანამონაწილეობის არსებობაზე საუბარი ზედმეტია. გამომდინარე ამ პოზიციიდან, რადგან დანაშაულის პროვოკატორს ამოძრავებს ამსრულებლის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის მიზანი, რასაც ბუნებრივია რომ წამქეზებელს ვერ დავაბრალებთ, სახეზე თანამონაწილეობა არ არის. ამიტომაცაა საჭირო დანაშაულის პროვოკაციის ცალკე სისხლის სამართლებრივად დასჯად ქმედებად ჩამოყალიბება.<sup>25</sup>

ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, შეიძლება არსებობდეს განსხვავებული მოსაზრებაც. კერძოდ, ის, რომ წამქეზებელს შეიძლება ამოძრავებდეს ამსრულებლისგან განსხვავებული მიზანი, რაც მდგომარეობს იმაში, რომ მისი აქტიური ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების შედეგად ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების შედეგად სურდეს, მაგალითად ქურდულ სამყაროში საკუთარი ავტორიტეტის დამკვიდრება ან ამაღლება.

ეს მოსაზრება განვიხილოთ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დანაშაულის — ქურდობის მაგალითზე. ქურდის მიზანია სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ და ფარულად მითვისება, (სსკ 177-ე მუხლი). მაგრამ რა მიზანი ამოძრავებს წამქეზებელს, როდესაც იგი პირს ქურდობის ჩადენისკენ უბიძგებს? საქმე ისაა, რომ წამქეზებლის ცნება (სსკ 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წამქეზებელია ის, ვინც დაიყოლია სხვა პირი განზრახი დანაშაულის

<sup>25</sup> ი. დვალაძე. მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 2007, გვ. 109.

ჩასადენად) დაყოლიების მიზანს, როგორც აესეთს არ გვიკონკრეტებს. წამქეზებელი კი მართალია იყოლიებს წაქეზებულ პირს დანაშაულის ჩადენაზე, მაგრამ შეიძლება თუ არა წამქეზებლის ქმედების მიზნად მივიჩნიოთ თავად ამსრულებლის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენა? ანუ, ის, რომ ქურდობის ფაქტი ობიექტურად განხორციელდეს? შევხედოთ დანაშაულის პროვოკაციის მუხლს. სსკ 145-ე მუხლი განსაზღვრავს: დანაშაულის პროვოკაცია ე.ი „სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით“. ანუ დაყოლიება ხდება განზრახი დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ ამსრულებლის მიერ თავად ამ ქმედების (ქურდობის) ჩადენა, ანუ ქურდობის ფაქტის განხორციელება დაყოლიების მიზანს არ წარმოადგენს. დაყოლიების მიზანი ამსრულებლის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემაა. მიზანშეწონილი იქნება ვივარაუდოთ, რომ, როგორც დანაშაულის პროვოკაციის ისე წაქეზების შემთხვევაში სახეზეა ერთი და იგივე ქმედება — დაყოლიება. თვითონ ქურდობის ფაქტი დაყოლიების მიზანს არ წარმოადგენს. ანუ ის არგუმენტი, რომ პროვოკატორს სულაც არ სურს ამსრულებლის მიერ ქმედების (ქურდობის) განხორციელება, მისთვის მთავარია ამსრულებელი სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მისცენ, ხოლო მოხდება ეს მცდელობის სტადიაზე თუ დამთავრებული დანაშაულის სტადიაზე მისთვის მნიშვნელობა არ აქვს, წამქეზებელს კი სურს, რომ დანაშაული ბოლომდე იქნას მიყვანილი, შეიძლება სადაო იყოს. რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ქურდობის ფაქტის განხორციელება, წამქეზებლობის შემთხვევაშიც დაყოლიების მიზანს არ წარმოადგენდეს. დაყოლიების მიზანი უფრო ფართოა.

საქმე ისაა, რომ დანაშაულის პროვოკაციის მუხლი პირდაპირ ამბობს, რომ დაყოლიების მიზანი ამსრულებლის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემაა, მაგრამ წამქეზებლობის მუხლი აღნიშნულ კონკრეტიკას არ შეიცავს. რაც გვაძლევს იმის ფიქრის საფუძველს, რომ წამქეზებელს შეიძლება ნებისმიერი მიზანი ამომრავებდეს, შეიძლება ეს იყოს დანაშაულებრივ სამყაროში სახელის მოხვეჭა სხვაზე ზეგავლენის მოხდენის დემონსტრირებით, ნაქურდალიდან წილის მიღება, დაზარალებულზე შურისზიება და სხვ.

ზემოთხსენებულიდან გამომდინარე იმის მტკიცება, რომ ორ ადამიანს, მათი მოტივაციის ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, ერთი და იგივე მიზანი ამოძრავებს მხოლოდ თეორიულია. აღნიშნული ცდება სამართლებრივ ჩარჩოებს და გადადის წმინდა ფსიქოლოგიურ კატეგორიაში. იურიდიულად არსებითია, მხოლოდ ის ფაქტორი, თუ რა კავშირი აქვთ თანამონაწილეებს დანაშაულებრივი ქმედებისა და შედეგის მიმართ. ანუ წამქეზებლის მიზანია შედეგის განხორციელება — ქურდის მიერ ნივთის მისაკუთრება, ხოლო პროვოკატორის მიზანი კი გახლავთ მხოლოდ მსხვერპლის სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. დადგება თუ არა შედეგი ამას პროვოკატორისთვის მნიშვნელობა არ აქვს.

დანაშაულის პროვოკაციის წამქეზებლობისგან განსხვავება მხოლოდ სხვადასხვა მიზნის არსებობაში არ მდგომარეობს. ანუ გამიჯვნა მხოლოდ წმინდა მეცნიერული თვალსაზრისით არ მომხდარა. საქმე ისაა, რომ დანაშაულის პროვოკაცია მოიცავს ბევრად მომეტებულ საზოგადოებრივ საფრთხეს ვიდრე ჩვეულებრივი წაქეზება. ამ ინფორმაციას ნაშრომში გაკეთებული მცირე ისტორიული ექსკურსიც გვაწვდის. დანაშაულის პროვოკაცია როგორც ისტორიული მიმოხილვიდან ჩანს, შეიძლება გახდეს ქვეყნის ხელისუფლების და სამართალდამცავი ორგანოების იარაღი სხვადასხვა მართლსაწინააღმდეგო მიზნების განსახორციელებლად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე აბსოლუტურად სწორად მიმაჩნია დანაშაულის პროვოკაციის წამქეზებლობისგან განცალკევება. თუმცა ჩემი აზრით, საკითხისადმი კანონმდებლის დღევანდელი მიდგომა შევსებას და სრულყოფას საჭიროებს.

## 5.1 ხარვეზი

წინამდებარე პარაგრაფში მოგახსენეთ, რომ დანაშაულის პროვოკაცია განსხვავდება წამქეზებლობისგან, იგი შეიცავს მომეტებულ სოციალურ საფრთხეს, ასევე დავეთანხმეთ მის ცალკე მუხლად გამოყოფას დამოუკიდებელი დანაშაულის სახით.

თუმცა ეს მხოლოდ არსებული პრობლემის ერთი საკითხი გახლავთ და ამით პრობლემა საბოლოოდ ვერ გადაწყდება. ქმედების კრიმინალიზაციის ზოგადი საფუძვლების გათვალისწინება, მისი უფრო ღრმა განხილვაა პრობლემის გადაჭრის გზა.

შევეხოთ ქმედების კრიმინალიზაციის ზოგად საფუძვლებს. ნებისმიერი ამკრძალავი ნორმა ახდენს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას. ხშირად მის კონსტიტუციურ უფლებებსაც კი აყენებს ზიანს. შეზღუდვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია გამართლებული თუ არსებობს ლეგიტიმური საჯარო მიზანი, რომელიც შეიძლება გამოიხატოს, პირის, საზოგადოების, სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების დაცვაში. ანუ იმისათვის, რომ სახელმწიფომ ადამიანს რაღაც ქმედება აუკრძალოს და მითუმეტეს დასჯის სისხლისსამართლებრივი წესი დააკისროს, საჭიროა რომ სახეზე გვქონდეს ძალიან მნიშვნელოვანი ლეგიტიმური საჯარო მიზანი, იმდენად მნიშვნელოვანი, რომ პირის თავისუფლების შეზღუდვას ამართლებდეს.<sup>26</sup> ერთადერთი რისი მიჩნევაც შეიძლება საჯარო ლეგიტიმურ მიზნად გახლავთ ასაკრძალავი ქმედების სოციალური საშიშროება. სოციალურად საშიშად შეიძლება ჩავთვალოთ, ქმედება, რომელიც საფრთხეს უქმნის პირის, საზოგადოების ან სახელმწიფოს ინტერესს. სხვაგვარად რომ ვთქვათ სახელმწიფოს სხვა გზა არ რჩება. ან უნდა აკრძალოს ქმედება ან/და დაზიანდება სამართლებრივი სიკეთე. ქმედებამ დასჯად სტადიას მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება მიაღწიოს, სხვაგვარად ჩვენ მივიღებთ საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების ფეხქვეშ გამთელავ კანონმდებლობას. მაგრამ აღსანიშნავია, ის ფაქტი, რომ სოციალური საფრთხე ყოველთვის ერთი და იგივე მნიშვნელობის არ არის. გამომდინარე აქედან მართებულია ვიფიქროთ, რომ უნდა დაწესდეს უმართლობის სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობა და შესაბამისად, სოციალური საფრთხის ხარისხის მიხედვით დაწესდეს ქმედების დასჯადობის ხარისხი. მარტივად, რომ ვთქვათ, რაც უფრო მაღალი საზოგადოებრივი საფრთხის შემცველიცაა ქმედება იმდენად ძიმე უნდ იყოს ამ ქმედებისთვის განსაზღვრული სასჯელი.

<sup>26</sup> კონსტანტინე კუბლაშვილი. ძირითადი უფლებები. თბ. 2005.

დანაშაულის პროვოკაციისა და წამქეზებლობის შედარებისას უნდა ზედმიწევნით შევავასოთ და შევადაროთ ამ ორი ქმედების თანმდევი სოციალური საფრთხე და გადავწყვიტოთ რომელ ქმედებას ახასიათებს უფრო მეტი სოციალური საშიშროება, ანუ რომელი ქმედება უნდა დაისაჯოს უფრო მკაცრად.

დღევანდელი კანონმდებლობით დანაშაულის წამქეზებელს პასუხისმგებლობა ეკისრება „მხოლოდ საკუთარი ბრალისთვის ერთიანი მართლსაწინააღმდეგო ქმედების საფუძველზე, დანაშაულის ჩადენაში თითოეულის მონაწილეობის ხასიათისა და ხარისხის გათვალისწინებით“ (სსკ 25-ე მუხლის პირველი ნაილი). ანუ წამქეზებელი ისჯება იმის მიხედვით თუ რა დანაშაულზე წააქეზებს იგი ადამიანს. ხოლო დანაშაულის პროვოკატორი ისჯება ყველა შემთხვევაში, მიუხედავად იმისა თუ რა დანაშაულის ჩადენაში დაიყოლიებს იგი პირს, ისჯება ერთნაირად შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე (სსკ 145-ე მუხლი). მაშასადამე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დანაშაულის წაქეზების შემთხვევაში კანონმდებელი სწორად წყვეტს მისი დასჯადობის საკითხს — სჯის წამქეზებელს მისი ქმედების შედეგად წარმოშობული სოციალური საფრთხის შესაბამისი სასჯელით. მაგალითად თუ ადგილი აქვს მკვლელობაზე (სსკ 108-ე მუხლი) წაქეზებას, წამქეზებლის ქმედების შედეგად წარმოშობილი სოციალური საფრთხე გამოიხატება მოკლული პირის სიცოცხლის ხელყოფაში. აქიდან გამომდინარე წამქეზებელი ისჯება მკვლელობისთვის გათვალისწინებული სასჯელით თავისუფლების აღკვეთით ვადით შვიდიდან თხუთმეტ წლამდე. პროვოკაციისას, მიუხედავად იმისა მიიყვანს თუ არა პროვოცირებული პირი დანაშაულს ბოლომდე, პროვოკატორი ისჯება ერთნაირად, შინაპატიმრობით ვადით ექვსი თვიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ერთიდან სამ წლამდე.<sup>27</sup>

<sup>27</sup> გურული, პ. დანაშაულის პროვოკაცია. მეცნიერულ-სამართლებრივი ანალიზი. 2005. წ. გვ 29

## 5.2 ხარვეზის გამოსწორების გზები

საკითხისადმი კანონმდებლის დღევანდელი მიდგომა ჩემი აზრით მცდარია. როგორც უკვე აღვნიშნე ხარვეზი იმაში მდგომარეობ, რომ სრულიად განსხვავებული სოციალური საფრთხის მქონე დანაშაულების პროვოკაცია ერთნაირად ისჯება და მათ შორის განსხვავება არ არსებობს. მაშასადამე, საჭიროა ისეთი მექანიზმის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს პროვოკატორი პროვოცირებული დანაშაულის სოციალური საფრთხის შესაბამისად დაისაჯოს. ამის განხორციელება შემდეგნაირადაა შესაძლებელი.

აუცილებელია დანაშაულის პროვოკაციის მუხლში შევიდეს ცვლილება, რომლის მიხედვითაც სხვადასხვა სახისა და ზომის სასჯელით დაისჯება ნაკლებად მძიმე, მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის პროვოკაცია. ამ დებულების მიხედვით კანონმდებელს შეუძლია დიფერენცირება მოახდინოს დანაშაულის კატეგორიების მიხედვით.

იმ შემთხვევაში თუ კანონმდებელი ზემოთ აღწერილ ხარვეზს მეტ ყურადღებას დაუთმობს და საჭიროდ ჩათვლის დანაშაულის პროვოკაციის დიფერენცირებას ყოველი კონკრეტული პროვოცირებული დანაშაულის მიხედვით, მართებული იქნება შემდეგი ღონისძიებების განხორციელება.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში უნდა ჩაიწეროს ახალი ნორმა. ამ ნორმის მიხედვით დანაშაულის პროვოკატორი დაისჯება არა მხოლოდ „დანაშაულის პროვოკაციის“ მუხლით, არამედ იმ სასჯელითაც რომელიც გათვალისწინებულია იმ დანაშაულისთვის, რომლის პროვოკაციასაც ჰქონდა ადგილი.

საკითხის ამგვარად გადაწყვეტის შემთხვევაში შეიძლება დაიბადოს კითხვა. რა აზრი აქვს დანაშაულის პროვოკაციისა და წამქეზებლობის ცალ-ცალკე მუხლებად გამოყოფას, ხომ არ აჯობებდა, იყოს წამქეზებლობა, რადგან აქ თითქმის ერთნაირ მიდგომებთან გვაქვს საქმე?<sup>28</sup>

<sup>28</sup> გურული.პ. დანაშაულის პროვოკაცია. მეცნიერულ-სამართლებრივი ანალიზი. 2005. წ. გვ. 31

არსებულ შეკითხვებს პასუხი შემდეგნაირად უნდა გაეცეს. დანაშაულის ოროვოკაციისა და წამქეზებლობის დასჯა მოხდება სხვადასხვაგვარად, კერძოდ: წამქეზებელი დაისჯება იმ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის მიხედვით, რომლის ჩადენაზეც იგი დაიყოლიებს პირს. დანაშაულის პროვოკატორი კი დაისჯება იმ დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელის მიხედვით, რომლის ჩადენაზეც იგი დაიყოლიებს პირს და ასევე დანაშაულის პროვოკაციის, როგორც დამოუკიდებელი დანაშაულისთვის გათვალისწინებული სასჯელით. ზემოთქმულიდან გამომდინარე დანაშაულის პროვოკაცია უფრო მკაცრად დაისჯება ვიდრე წამქეზებლობა.<sup>29</sup>

---

<sup>29</sup> გურული. პ. დანაშაულის პროვოკაცია. მეცნიერულ-სამართლებრივი ანალიზი. 2005. წ. გვ. 32-35

## თავი 6. დანაშაულის პროვოკაცია და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება

დანაშაულის პროვოკაციის განხილვისას აუცილებელია შევხვთ ისეთ მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხს როგორცაა დანაშაულის პროვოკაცია და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. ლეგიტიმური საჯარო მიზნის არსებობისას, როგორცაა დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა, დასაშვებია თუ არა უკიდურეს შემთხვევაში დანაშაულის პროვოცირება და ასევე მნიშვნელოვანია თუ როგორ გავავლოთ ზღვარი დანაშაულის პროვოკაციასა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებას შორის.

პირველი საკითხის განხილვისას ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ იმაზე თუ რამდენად ბევრი სირთულე ახასიათებს ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებს, რომ დასახული ამოცანების შესარულება ძალზედ რთულია და ზოგჯერ შეუძლებელიც გარკვეული დანაშაულებრივი ქმედების პროვოცირების გარეშე, რომ არსებული ლეგიტიმური საჯარო მიზანი ამართლებს დანაშაულის პროვოცირებას; რომ ამ შემთხვევაში უფრო ნაკლები სამართლებრივი სიკეთის ხელყოფით უფრო მნიშვნელოვანი სიკეთის დაცვა ხდება. ვფიქრობ, რომ საკითხისადმი ამგვარი მიდგომა არასწორია.

ხსენებული საკითხის, ისევე, როგორც ნებისმიერი სამართლებრივი საკითხის განხილვისას მსჯელობა არ უნდა იქცეს ზოგად და უსაგნო აზრების ერთობლიობად. რასაკვირველია ჩემთვის სრულად არის ცნობილი თუ რა სირთულეების მატარებელია ზოგადად ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, თუმცა მიუხედავად ამ სირთულეებისა ერთი სამართლებრივი სიკეთის დარღვევით მეორეს თავიდან აცილება მიზანშეწონილად არ მიმაჩნია. მეტი თვალსაჩინოებისთვის და აღნიშნული პოზიციის ნათლად წარმოჩენისთვის აუცილებელია დავეყრდნოთ საქართველოს კონსტიტუციას, შემდეგ - სხვა სამართლებრივ აქტებს.

„ოპერატიულ-სამმეზრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის თანახმად, „აკრძალულია იმ ოპერატიულ სამმეზრო ღონისძიების ჩატარება,განხორციელება,რომელიც:

ა)საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას,პატივსა და ღირსებას,ქონებას.

ბ)საფრთხეს უქმნის იურიდიული პირის უფლებებს.

გ)დაკავშირებულია მოტყუებასთან შანტაჟთან,ძალით დაყოლიებასთან,დანაშაულის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენასთან.<sup>30</sup>

ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი,რომ ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიებამ,შეიძლება გამოიწვიოს დანაშაული ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედება,მაგრამ არა მაინც და მაინც პროვოცირების (დაყოლიების) გზით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე,რადგან კანონი კრძალავს ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიების ჩატარებისას მართლსაწინააღმდეგო ქმედების განხორციელებას ოპერატიული მუშაკის მხრიდან,ცხადია იგი კრძალავს დანაშაულის პროვოკაციასაც, რადგან აღნიშნული ქმედება იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას.

მართალია შევთანხმდით,რომ აკრძალული მეთოდებით საგამომიებო მოქმედებების განხორციელება დაუშვებელია,მაგრამ ჩნდება კითხვა.ხომ არ ნიშნავს ეს იმას,რომ სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები უკიდურესად შეზღუდულია ოპერატიულ-სამმეზრო ღონისძიებაში მონაწილეობისას?ცხადია არა.ოპერატიულ მუშაკს უფლება აქვს გააკეთოს უამრავი რამ მის წინაშე დასახული მიზნის მისაღწევად ისე,რომ მას დანაშაულის პროვოცირება არ მოუხდეს.ანუ არ მოახდინოს სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად.

მამასადამე,როგორც ვხვდებით დანაშაულის პროვოკაციასა და ოპერატიულ სამმეზრო ღონისძიებებს შორის ხაზის გავლების მთელი აზრი მდგომარეობს სიტყვა „დაყოლიებაში“ და მისი შინაარსის სწორ გაგებაში.იმ შემთხვევაში იქნება

---

<sup>30</sup> „ოპერატიულ-სამმეზრო საქმიანობის შესახებ“ საქართველოს კანონი“

ოპერატიული მუშაკის ქმედებები კანონიერი, როცა ის არ შეეცდება და არ დაიყოლიებს პირს დანაშაულის ჩასადენად. ხოლო თუ პირიქით მოხდა და ოპერატიულმა მუშაკმა პირი დაიყოლია დანაშაულის ჩადენაზე, აქ საქმე გვექნება დანაშაულის პროვოკაციასთან და ქმედება ვერ შეფასდება, როგორც მართლზომიერი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება. ლოგიკურია, რომ ჩნდება კითხვა რას ნიშნავს სიტყვა დაყოლიება? რას უნდა შეიცავდეს პირის ქმედება, რომ იგი დაყოლიებად ჩავთვალოთ? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა ჩამოვყალიბოთ იმ ნიშანთა ჩამონათვალი, რომელთა მიხედვითაც პირის ქმედება შეიძლება დაყოლიებად შეფასდეს.

## 6.1 „დაყოლიების ცნების ანალიზი“

დაყოლიების ცნების ანალიზი დაგვეხმარება არა მხოლოდ დანაშაულის პროვოკაციასა და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ერთმანეთისგან გამიჯვნაში, არამედ ზოგადად ქმედების დანაშაულის პროვოკაციად კვალიფიციის საკითხის გარკვევაშიც.

1. დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობით გათვალისწინებულია დანაშაულის მიზანი — პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა. ანუ დანაშაულის ჩადენაზე დაყოლიება, რომ ჩაითვალოს დანაშაულის პროვოკაციად, საჭიროა პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზანი. მაგრამ რა უნდა ახასიათებდეს პირის ქმედებას, დავუშვათ თხოვნას, იმისთვის, რომ იგი ჩაითვალოს დაყოლიებად? (სქემა)

დაყოლიება + პასუხისგებაში მიცემის მიზანი = პროვოკაციას.

დაყოლიება = ?

ცხადია მას უნდა ახასიათებდეს მიზანი დაითანხმოს პირი ქმედების ჩადენაზე. უფრო ზუსტად, დამყოლიებელს გამიზნული უნდა ჰქონდეს, რომ წარმოშვას, აღძრას დაყოლიებულში ქმედების ჩადენის სურვილი, რადგან თუ ეს სურვილი პირს უკვე გააჩნია მაშინ დაყოლიება სახეზე არ გვექნება. მაშასადამე

გამოიკვეთა დაყოლიების პირველი ნიშანი — დამყოლიებლის მიზანი — დასაყოლიებელში აღძრას ქმედების ჩადენის სურვილი.<sup>31</sup>

2.სსკ მე-10 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, :გაუფრთხილებლობით ჩადენელი ქმედება მხოლოდ მაშინ ჩაითვლება დანაშაულად,თუ ამის შესახებ მითითებულია ამ კოდექსის შესაბამის მუხლში. „ რადგან სსკ 145-ე მუხლში მსგავსი მითითება არ გვაქვს გამოდის რომ დანაშაულის პროვოკაციის ჩადენა მხოლოდ განზრახვითაა შესაძლებელი.უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით,რომ პირდაპირი განზრახვით.თუ ჩვენ დავუშვებთ,რომ დაყოლიება შეიძლება არაპირდაპირი განზრახვითაც მოხდეს მივიღებთ სრულიად აბსურდულ მდგომარეობას.ამის დასამტკიცებლად მოვიყვან ასეთ მაგალითს. „ა“ „ბ-ს“ ეტყვის , რომ მისმა მეზობელმა ძვირადღირებული ნივთი იყიდა და „ა“ აცნობიერებს მხოლოდ იმას,რომ შეიძლება „ბ-ს“ შეიძლება ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისების სურვილის აღძრას გამოდის,რომ ადამიანს ადამიანისთვის სიტყვის თქმის უნდა ეშინოდეს იმ მოტივით,რომ ამ სიტყვებმა შეიძლება მას დანაშაულის ჩადენის სურვილი აღუძრას.მაშასადამე გამოიკვეთა მეორე ნიშანი — შედეგის დადგომისადმი (ადამიანში ქმედების ჩადენის სურვილის აღძვრისადმი) პირდაპირი განზრახვა.

3. პირის ქმედება,რომ დაყოლიებად შეფასდეს საჭიროა აქტიური ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება.სხვა შემთხვევაში იმავე აბსურდამდე მივალთ როგორც ზემოთ ხსენებულ მაგალითის მოყვანისას.ანუ კვლავ ძალიან ბევრი ქმედება შეფასდება,როგორც დაყოლიება.მაგალითად თუ ადამიანს საფულე უდევს ღია ჯიბეში ისე,რომ ეს საფულე გარედან ადვილი შესამჩნევია,ეს ქმედება ვერანაირად ვერ შეფასდება საფულის დაუფლებაზე დაყოლიებად.კი მართალია საფულის დემონსტრირებით მფლობელმა მოახდინოს სხვისთვის სურვილის აღძვრა ნივთის დასაუფლებლად მაგრამ მისი ქმედება მაინც არ მიიჩნევა აქტიურ ზემოქმედებად.როგორც უკვე აღვნიშნეთ,პირის ქმედება,რომ დაყოლიებად შეფასდეს სუცილებელია გამოკვეთილი უნდა იყოს მიზანი — აღძრას ადამიანში ქმედების ჩადენის სურვილი.ცხადია ქმედება ამ მიზნის განხორციელებას

<sup>31</sup> გურული.პ.დანაშაულის პროვოკაცია.მეცნიერულ-სამართლებრივი ანალიზი.2005.გვ48-49

ემსახურება. აქიდან გამომდინარე თუ სახეზე არ იქნება აქტიური მოქმედება, რომელიც ამ მიზნის მიღწევას მოემსახურება, ჩვენ ვერ დავამტკიცებთ თვით ამ მიზნის არსებობას. საიდან მტკიცდება მიზნის არსებობა? იქიდან რომ ადამიანმა ჩაიდინა რაიმე ისეთი ქმედება, რომელიც დიდი ალბათობით მიმართულია ამ მიზნის განხორციელებისკენ. მიზნის არსებობაზე ქმედების ხასიათი მიუთითებს. ანუ, როცა პირი ღიად ახდენს საფულის დემონსტრირებას, ჩვენ მას ვერ დავუმტკიცებთ, რომ მას აქვს მიზანი — წარმოშვას ვინმეში ამ საფულის მოპარვის სურვილი. იგი უბრალოდ განაცხადებს, რომ საჯაროდ უნდოდა გამოეჩინა მისი საფულე, რადგან მისი აზრით ვიზუალურად ლამაზია და სულაც არ სურდა, რომ ვინმეს მისი საფულის მითვისების სურვილი აღძროდა. მაგრამ თუ პირი სხვას დაჟინებით შესთავაზებს და არწმუნებს, რომ მოჰპაროს მას საფულე, რადგან ამ საფულეში სხვისი ფული დევს და რათა ეს ფული შემდეგ შუაზე გაიყონ, აქ უკვე სახეზეა აქტიური მოქმედება — დაჟინებით შეთავაზება მოჰპაროს მას საფულე. მაშასადამე, იმისათვის, რომ დამტკიცებულ იქნას ქმედების ჩადენის სურვილის აღძვრის მიზანი. შესაბამისად კი, ქმედება შეფასდეს დაყოლიებად საჭიროა გამოიკვეთოს დაყოლიების მესამე ნიშანი — სხვა ადამიანზე აქტიური ზემოქმედება.

ამ ყოველივედან გამომდინარე, შესაძლებელია ერთგვარი ფორმულირება მოვახდინოთ „დაყოლიების“. ესაა: „სხვაზე განზრახ აქტიური ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედება მასში გარკვეული ქმედებების ჩადენის სურვილის აღძვრის მიზნით“ თუმცა შესაძლებელია სხვაგვარადაც: „სხვაში გარკვეული ქმედების ჩადენის სურვილის აღძვრა, მასზე აქტიური ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების გზით.“ პირველ შემთხვევაში, ქმედების დაყოლიებად შეფასებისთვის საკმარისია, რომ პირმა სხვაზე მოახდინოს აქტიური ფიზიკური ან/და ფსიქიკური ზემოქმედება ხოლო მიაღწევს თუ არა მიზანს ამას მნიშვნელობა არ აქვს. ანუ ქმედება დაყოლიებად ითვლება დაყოლიების დაწყების მომენტიდან. ხოლო მეორე შემთხვევაში კი საჭიროა, რომ პირმა მიაღწიოს მიზანს, რაც მართებულად

მიმაჩნია, რადგან სხვა შემთხვევაში ადგილი ექნება მხოლოდ უშედეგო დაყოლიებას.<sup>32</sup>

მნიშვნელოვანია მიზეზობრივი კავშირის დადგენა პირის ქმედებას — აქტიური ფიზიკური ან/და ფსიქიკური ზემოქმედების მოხდენასა — და დამდგარ შედეგს შორის. მიზეზობრივი კავშირის ცნება სსკ მე-8 მუხლშია მოცემული. ქმედების შემფასებელმა უნდა დაადგინოს იყო თუ არა აქტიური ზემოქმედება ამ პირის მიერ ქმედების ჩადენის აუცილებელი პირობა, ურომლისოდაც პირს სურვილი ამჯერად არ აღეძრებოდა.

აქიდან გამომდინარე, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებაში მონაწილე პირის ქმედება, რომ დაყოლიებად, ხოლო პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნის გათვალისწინებით, პროვოკაციად შეფასდეს აუცილებელია სამივე ნიშნის მკაფიოდ არსებობა. წინააღმდეგ შემთხვევაში ოპერატიული მუშაკის ქმედება დანაშაულზე დაყოლიებად ვერ ჩაითვლება შესაბამისად არც დანაშაულის პროვოკაციასთან გვექნება საქმე.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებასა და დანაშაულის პროვოკაციის ურთიერთმიმართებასთან დაკავშირებით, შესაძლოა გაჩნდეს ასეთი კითხვები: თუ დანაშაულის პროვოკაციის დაუშვებლობის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი ისაა, რომ მან საფრთხე შეიძლება შეუქმნას სხვადასხვა სამართლებრივ სიკეთეებს? ხომ არ შეიძლება, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების ჩატარებისას, დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნით კანონმდებელმა დაუშვას ისეთი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფა, რომლის პროვოცირებით საფრთხე არ შეექმნება პირისა და საზოგადოების კანონიერ ინტერესებს?

ზოგადად დანაშაულის პროვოკაციის დაუშვებლობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი საზოგადოებისთვის საფრთხის შექმნაა. საფრთხე შეიძლება გამოიხატებოდეს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, საკუთრების ან/და სხვა

<sup>32</sup> გურული. პ. დანაშაულის პროვოკაცია. მეცნიერულ-სამართლებრივი ანალიზი. 2005. გვ

სამართლებრივი სიკეთეების შელახვაში.მაგალითად თუ მოხდება ბანდის პროვოცირება ყაჩაღობის ჩასადენად,მათი დაკავებისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით ,საფრთხე შეიძლება შეექმნას როგორც პირთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ასევე საკუთრებასაც.აქიდან გამომდინარე ყაჩაღობის პროვოცირება სოციალურად ძალზედ საშიშია და ამიტომაც მისი კანონით დაშვება გამორიცხულია.

ანალოგიურად შეიძლება ითქვას სხვა დანაშაულებზე,რომელთაც ჩადენის ძალადობრივი ფორმა გააჩნიათ.თუმცა შეიძლება საკითხი დავსვათ ამგვარად: დიახ ასეთი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა არ შეიძლება,რადგან იგი სოციალურად საშიშ ქმედებას წარმოადგენს,მაგრამ ხომ არსებობს ისეთი სახის დანაშაულები,რომელთა ჩადენაც საზოგადოებისთვის სოციალურ საშიშროებას არ წარმოადგენს და რომელთა ჩადენისას მხოლოდ სახელმწიფო ზიანდება.მაგალითად სსკ მე-200 მუხლი ( მარკირებას დაქვემდებარებული აქციზური საქონლის აქციზური მარკის გარეშე გამოშვება,შენახვა,რეალიზაცია ან გადაზიდვა ) ან სსკ 218-ე მუხლი (გადასახისთვის თავის არიდება).ამ კითხვაზე პასუხი ვფიქრობ,არცთუ ისე დიდ სირთულეს წარმოადგენს. საქმე ის გახლავთ,რომ დანაშაულის პროვოცირებისას ილახება არა მარტო ის სამართლებრივი სიკეთე,რომელიც ილახება პროვოცირებული დანაშაულით,არამედ თვითონ პროვოცირებულის სამართლებრივი სიკეთე — მისი თავისუფლება.ამიტომაც გახლავთ სსკ 45-ე მუხლი სისხლის სამართლის კოდექსის იმ თავში მოთავსებული,რომელიც ეხება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს.აქიდან გამომდინარე ის ფაქტი,რომ ზემოთ მოცემული დანაშაულების ჩადენისას არ ილახება საზოგადოების ან პირის ინტერესი, მცდარია და მას არავითარი გამართლება არ გააჩნია.

ჩვენ უკვე შევთანხმდით იმაზე,რომ დანაშაულის პროვოკაცია დაუშვებელია,მაგრამ გვიჩნდება კიდევ ერთი კითხვა.შესაძლებელია თუ არა დანაშაულის მცდელობის პროვოკაცია?

აქაც ოპერატიულ-სამძებრო რონისძიებებსა და დანაშაულის პროვოკაციის საკითხს ვუბრუნდებით.ხომ არ შეიძლება,რომ კანონშემოქმედმა დაუშვას დანაშაულის პროვოკაცია მხოლოდ იმ შემთხვევაში,როცა მისი მცდელობის ეტაპზე შეჩერება შესაძლებელია ოპერატიული მუშაკების მიერ მიღებული ზომების მეშვეობით.ანუ მოხდება გარკვეულწილად დანაშაულის მცდელობის პროვოკაცირება.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების დროს შესაძლებელია დანაშაულის პროვოცირება იმგვარად,რომ დანაშაული ბოლომდე ვერ იქნას მიყვანილი.მაგალითად ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით (სსკ177-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ ქვეპუნქტი).ამ დანაშაულის პროვოცირება შესაძლებელია.როდესაც დანაშაულის ამსრულებელი მართლსაწინააღმდეგო ხერხით შეაღწევს საცხოვრებელ ბინაში,მას დააკავებენ.ამ შემთხვევაში დანაშაული მცდელობის ეტაპზე აღიკვეთება და ბინის მესაკუთრეს ზიანი არ მიადგება.

ყოველივე ზემოთქმულის შესაძლებლობა ეჭვგარეშეა,თუმცა რამდენად გახლავთ აღნიშნულის ჩადენა კანონზომიერი? ვფიქრობ,რომ მიუხედავად ყველაფრისა დანაშაულის პროვოცირება მაინც დაუშვებელია,ყოველივე ამის თქმის საფუძველს მამლევს ისევ ის გარემოება რითაც დაუშვებელია ჩვენს მიერ განხილული მუხლების და სხვა დანაშაულების პროვოცირება.დანაშაულის პროვოკაცია ხელყოფს პიროვნების პროვოცირებულის) თავისუფლებას.ხოლო ის ფაქტი რომ დანაშაული მცდელობის ეტაპზე აღიკვეთება და დანაშაულის ობიექტი ხელუხლებელი დარჩება,პროვოცირებულისთვის ეს არაფერს წარმოადგენს,რადგან ეს სამართლებრივი სიკეთე დანაშაულის პროვოცირებით ყველა შემთხვევაში ილახება.

## 6.2 დანაშაულის პროვოკაცია და სხვა დანაშაულები.

საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლებისგან ხშირად გვესმის დანაშაულის პროვოკაციის ფაქტის შესახებ.თუმცა არა იმ გაგებით რასაც დანაშაულის პროვოკაცია გულისხმობს,არამედ სულ სხვა დანაშაულის არსებობისას.

მაგალითად მე-20 საუკუნის 90-იან წლებში მასიურად ხდებოდა სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომლების მიერ შეუმჩნეველად ტანსაცმლის უბეში, ჩანთაში ან სხვაგან ნარკოტიკული ნივთიერების ჩადება, მისი შემდგომი დაკავებისა და ნარკოტიკული საშუალების ამოღების მიზნით. სწორედ ასეთი შემთხვევა ფასდებოდა დანაშაულის პროვოკაციად, რაც არასწორია, რადგან სინამდვილეში საქმე სულ სხვა დანაშაულთან გვაქვს.

ქმედება, რომ დანაშაულის პროვოკაციად შეფასდეს აუცილებელია სხვისი დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისგებაში მიზნით. შესაძლოა ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს პირის სისხლის სამართლებრივი პასუხისგებაში მიცემის მიზანი, მაგრამ არ გვაქვს უმნიშვნელოვანესი ელემენტი, პირის დაყოლიება. მაშინ როდესაც პოლიციელი ჩუმად მიდის და მსხვერპლს ნარკოტიკულ საშუალებას უდებს რა თქმა უნდა დანაშაულზე დაყოლიება არ იარსებებს, რადგან არ არსებობს ძლიერი ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების ფაქტი, რომელმაც შეიძლება პირს დანაშაულის ჩადენისკენ უბიძგოს. პოლიციელის ქმედება მოიცავს ჩუმ და ფარულ მოქმედებას, რომლის შესახებაც მსხვერპლს წარმოდგენაც კი არ აქვს. აქიდან გამომდინარე ამ ქმედების დანაშაულის პროვოკაციად შერაცხვა შეუძლებელია.

დავადგინეთ ის ფაქტი, რომ პოლიციელის მხრიდან არ მომხდარა დანაშაულის პროვოკაცია. მაშინ რა დანაშაულებრივ ქმედებასთან გვაქვს საქმე ნარკოტიკული საშუალების ჩადებისას?

დავიწყოთ ნარკოტიკული საშუალების ფლობით. ეს ქმედება უნდა შეფასდეს სსკ 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის გ ქვეპუნქტით. პირველი სახეზეა დანაშაულის საგანი — ნარკოტიკი. მეორე იკვეთება პოლიციელი მხრიდან უკანონო გასაღება, მოქალაქისთვის ჯიბეში ჩადებით (შესაძლოა, შეძენა და შენახვაც უკანონოდ იყოს მომხადრი, თუმცა ამ უკანასკნელის განხორციელება კანონიერადაც შეიძლება, ხოლო გასაღება ყველა შემთხვევაში უკანონოა). მესამე, სახეზეა სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენება. იმის იმედად, რომ მას „როგორც

პოლიციელს ვერავინ ამოუღებდა ნარკოტიკულ საშუალებას და თუ ამოუღებდნენ, ვერავინ შეძლებდა მის დაკავებას. პოლიციელის სამსახურეობრივმა სპეციფიკამ მას ერთგვარი „იმუნიტეტი„ შეუქმნა და ნარკოტიკული საშუალების დაუფლების საბაზი მისცა.

თუ პოლიციის მუშაკი დაკავებული პირისგან გათავისუფლების სანაცვლოდ თანხას მოითხოვს, ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც სსკ 338-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი. ქრთამის აღება გამოძალვით. თუმცა ეს უკვე ჩვენი თემის განხილვის ფარგლებს სცდება.

\* \* \*

მოგახსენებთ გასული საუკუნის 90-იანი წლების კიდევ ერთ სამართლებრივ „შედეგს“ , რომელსაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ. სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილი სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი მიდის პიროვნებასთან და სრულიად უმიზეზოდ ესხმის მას თავს. თავისთავად მოქალაქე იძულებული ხდება თავი დაიცვას. ამის შემდეგ საქმეში „ოპერატიულად“ ერთვებიან ჩასაფრებული სხვა სამართალდამცავები და პიროვნების დაკავებას ახდენენ. შემდეგ მას ხულიგნობის მუხლით დაკავებას და გასამართლებას ემუქრებიან და ეს რომ ასე არ მოხდეს ამისათვის თანხას ან რაიმე სხვა მატერიალური სიკეთის მიტანას სთავაზობენ.

შეიძლება საზოგადოებისთვის ეს ფაქტი შეფასდეს, როგორც პროვოკაცია, მაგრამ სულ სხვაა მოცემული ქმედების სამართლებრივი მხარე. ამ კონკრეტულ მაგალითიდან ჩანს, რომ პოლიციელი აქტიური ფიზიკური ზემოქმედებით ცდილობს პირს უბიძგოს დანაშაულის ჩადენისკენ. ანუ პოლიციელის აქტიური ფიზიკური ზემოქმედება გამოიხატება პიროვნების მიმართ განხორციელებულ დარტყმაში. კი მართალია პროვოცირებულ პიროვნებას სურვილი გაუჩნდა თავი დაეცვა და საპასუხო დარტყმაც განხორციელა, მაგრამ აღნიშნული ქმედება ვერ

ჩაითვლება დანაშაულად. ანუ პიროვნება ვერ იქნა პროვოცირებული იმ მარტივი მიზეზით, რომ მისი მოქმედება გახლდათ კანონთან სრულად შესაბამისი. პირმა რომელმაც საპასუხოდ პოლიციელს დაარტყა გამოიყენა მისთვის სისხლისსამართლის კანონმდებლობით მინიჭებული უფლება (აუცილებელი მოგერიება სსკ 28-ე მუხლი) რომელიც გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას. მაშასადამე ხულიგნობაში პირის დადანაშაულებაც და ამისთვის მისი დაკავებაც უკანონო იქნება.

წინა კაზუსის მსგავსად აქ ყურადსაღებია ერთი რამ. დანაშაულის პროვოკაციის არსებობისთვის აუცილებელია მიზანი. პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზანი. მოცემული მაგალითიდან ვერ ვიტყვით გადაწყვეტით, რომ პოლიციის თანამშრომლებს გამიზნული ჰქონდათ პირის პასუხისგებაში მიცემა. უფრო მეტიც ისინი სრულიად განსხვავებული (მატერიალური სიკეთის გამორჩენის) მიზნით ახდენენ ადამიანის მიმართ უკანონო ქმედებებს.

ისმის კითხვა: როგორ შევაფასოთ პოლიციელების მოქმედებები?

პირველ რიგში იმ პოლიციელის ქმედება, რომელიც ჩხუბს უწყებს პიროვნებას უნდა შეფასდეს სსკ 333-ე მუხლით (სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება), გამომდინარე იქიდან, რომ პოლიციელი ამ თითქოსდა ოპერატიულ ღონისძიებაში იყენებს თავის სამსახურეობრივ თანამდებობასა და უპირატესობას.

იმ პირის დაკავება, რომელიც აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა უკანონოა. ამიტომ იმ პოლიციელების ქმედება რომლებმაც დააკავეს აღნიშნული პიროვნება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 147-ე მუხლის პირველი ნაწილით „განზრახ უკანონოდ დაკავება ან დაპატიმრება“.

თუ პოლიციელებმა პირის დაკავების შემდეგ მისი გათავისუფლებისათვის თანხა მოითხოვეს, ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც ქრთამის აღება გამოძალვით (სსკ 338-ე მუხლი).

### 6.3 სასამართლო პრაქტიკა

2008 წლის 29 ივნისს რ.მამედოვმა ქ. რუსთავში გააჩერა ალექსი ბექაურის მართვის ქვეშ არსებული ტაქსი და შეუთანხმდა სოფელ ალგეთში წაყვანაზე. თავიდან აღნიშნული ტაქსით რ.მამედოვი ჩავიდა სოფელ ფონიჩქალაში, სადაც ა/მანქანაში ჩაისვა მისი მეგობარი პუნხან გუსეინოვი, რომელსაც თან ჰქონდა მის მიერ გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ვითარებაში მოპოვებული ნარკოტიკული საშუალება მარიხუანა და რომელიც პ. გუსეინოვმა ფარულად მოათავსა ა/მანქანაში მძღოლის სავარძლის ქვეშ.

რუსთავის ე.წ ტეკის მიმდებარე ტერიტორიაზე რ.მამედოვი გადავიდა მანქანიდან და გადაუხადა მძღოლს თავისი კუთვნილი თანხა, ხოლო პ. გუსეინოვი კი სოფელ ალგეთში მისვლისას გადავიდა მანქანიდან და მიიმალა. შემდეგ რ.მამედოვმა და პ.გუსეინოვმა დატოვებულ ნარკოტიკების შესახებ აღნიშნულის თაობაზე შეატყობინეს შსს ქალაქ თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებს, ხოლო პ.გუსეინოვის მიერ დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა შენახვის ფაქტი რ.მამედოვის მიერ დაფარულ იქნა.

2008 წლის 29 ივნისს გაჩხრიკეს ალექსი გურამის ძე ბექაურის მართვის ქვეშ მყოფი მანქანა და ამოიღეს პ.გუსეინოვის მიერ დადებული „გამომშრალი მარიხუანა“.

აღნიშნული დანაშაულის ჩადენისათვის რ.მამედოვს წარედგინა ბრალი საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით, ხოლო პ.გუსეინოვს—სსკ 260-მუხლის მეორე ნაწილის „ა“ პუნქტით.<sup>33</sup>

---

<sup>33</sup> თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 12 ნოემბრის N1/4106-08 განაჩენი

\* \* \*

2004 წლის 22 მაისს მოქალაქე ქ.თაგვაძე სასაზღვრო—საკონტროლო გამშვებ პუნქტ „წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიის ნეიტრალურ ზონაში არსებულ ბაზრობაზე შეიძინა დაახლოებით 150 აშშ დოლარის ღირებულების ტანსაცმელი და დაქირავებული „ვაზ—21011“ მარკის თეთრი ფერის მანქანით გადაჰქონდა ქ.თბილისში.<sup>23</sup> მაისს სახელმწიფო საზღვრის გადაკვეთისას ტვირთის საზღვარზე რეგისტრაციის გარეშე მაიორმა გ.ჯაშმა მას ქრთამის სახით მოსთხოვა 40 ლარის გადახდა.ტვირთის სიმცირის გამო შეთანხმდნენ 30 ლარზე,რის შემდეგაც ქ.თაგვაძემ მას ქრთამის სახით გადასცა საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს თანამშრომლების მიერ სპეციალური ფარული აღნიშვნებით დამუშავებული ფული.იმავე დამით გ.ჯაში დააკავეს.

სასამართლო კოლეგიის განაჩენში აღნიშნულია,რომ გ.თაგვაძემ წინასწარი გამოძიების ეტაპზევე უარყო გ.ჯაშის მხრიდან ქრთამის გამოძალვის ფაქტი და ვინაიდან არ არსებობს აღნიშნულის დამადასტურებელი სხვა უტყუარი მტკიცებულებები,ყოველგვარი ეჭვი,რომელიც არ დასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს განსასჯელის სასარგებლოდ.ამდენად,სასამართლო კოლეგია მიდის დასკვნამდე,რომ გ.ჯაშის ქმედება შეიცავს მხოლოდ ქრთამის აღების შემადგენლობას და ის უნდა გადაკვალიფიცირდეს სსსკ-ს 338-ე მუხლის პირველ ნაწილზე,რაზეც უნდა აგოს პასუხი.<sup>34</sup>

\* \* \*

2006 წლის ნოემბრის თვეში მოქალაქე მ.ფაციაშვილი იმყოფებოდა აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ქ.ზაქათალაში,სადაც ადგილობრივ,ვინმე ორუჯასგან მიიღო

<sup>34</sup> აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2004 წლის 22 დეკემბრის N1/ა-6 განაჩენი

შემოთავაზება,რომ საქართველოში შემოსატანად შეეძინა 20 გრამის ოდენობის გველის შხამი.მფაციაშილმა გადაწყვიტა გაეგო თუ რა ღირდა საქართველოში შემოტანის ოფიციალური პროცედურა.ამ მიზნით ის შეხვდა სსგპ „სამთაწყაროს“ მესაზღვრე კონტროლიორს ჯ.გუმაშვილს,რათა გაერკვია თუ რა დოკუმენტები იყო საჭირო აღნიშნული ოპერაციის განხორციელებისათვის.გუმაშვილმა შესთავაზა,რომ 1000 აშშ დოლარის სანაცვლოდ ყველაფერს მოაგვარებდა.მფაციაშილმა გაათვითცნობიერა,რომ ის ჩადიოდა კანონსაწინააღმდეგო ქმედებას და განცხადებით მიმართა შსს სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტს და გამოთქვა გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილი.2006 წლის 1 დეკემბერს 12 საათზე ჯიმშერ გუმაშვილმა ქ.დედოფლისწყაროში კაფე—რესტორან „კოსმოსში“ 20 გრამი გველის შხამის საქართველოს ტერიტორიაზე შემოტანის სანაცვლოდ მ.ფაციაშილს გამოართვა 1000 აშშ დოლარი.2006 წლის 1 დეკემბერს 12:50 წთ-ზე ჯ.გუმაშვილი დააკავეს ეჭვმიტანილის სახით.პირადი ჩხრეკისას მას შარვლის უკანა მარცხენა ჯიბეში აღმოაჩნდა მალხაზ ფაციაშვილისაგან ქრთამის სახით აღებული თანხა.დედოფლისწყაროს რაიონული სასამართლოს 2007 წლის 3 აპრილის განაჩენით ჯ.გუმაშვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ 338-ე მუხლის პირველი ნაწილით.<sup>35</sup>

\* \* \*

რ.წიკლაურის დაკავების მიზნით 2004 წლის 28 სექტემბერს ნ.საკანდელიძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა მ.ხაინდრავასა და თ.კაკულიას და კვავ დაიყოლია ისინი დანაშაულის ჩასადენად.მან იცოდა,რომ რ.წიკლაური იყო მ.ხაინდრავას მამინაცვალი და ეს უკანასკნელი ვერ შეძლებდა მისთვის ნარკოტიკული საშუალების დადებას,რის გამოც თავის დანაშაულებრივი განზრახვა სრულიად გაანდო თ.კაკულიას,ხოლო მ.ხაინდრავას კი შეუთანხმდა,რომ თ.კაკულიასთან

<sup>35</sup> თბილისის სააკველაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 22 ივნისის N1/ზ-1066-07 განაჩენი

ერთად აზერბაიჯანის რესპუბლიკაში უკანონოდ შეიძენდნენ ნარკოტიკულ საშუალებას და გადმოზიდავდნენ თბილისში.დავალების შესასრულებლად მ.ხაინდრავა და თ.კაკულია იმავე დღეს დაახლოებით 18:00 საათზე,ტაქსიტ,რომელსაც მართავდა სერგო სიხარულიძე,გაემგზავრნენ საქართველო—აზერბაიჯანის საზღვარზე, ე.წ „წითელხიდზე“,რა დროსაც მ.ხაინდრავამ ქ.ყაზანში,გამოძიებით დაუდგენელი პირისგან,ვინმე „მაქსიმისგან“ 400 აშშ დოლარად შიძინა 8 გრამი „ჰეროინი“,რომელიც მეორე დღეს ასევე გამოძიებით დაუდგენელი პირის დახმარებით ნ.საკანდელიძისათვის გაგზავნის მიზნით,ქ.თბილისში გადასაზიდად გადასცა საქართველო—აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვრის ე.წ „ნეიტრალურ ტერიტორიაზე“ მყოფ თ.კაკულიას,რის შესახებაც ტელეფონის საშუალებით შეატყობინა ნ.საკანდელიძეს.აღნიშნულის შემდეგ თ.კაკულიამ „ჰეროინი გადაიტანა თბილისში, ს.სიხარულიძის მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ნ.საკანდელიძეს და მისთვის ნარკოტიკული საშუალების გადასაცემად შეხვდა წინასწარ დათქმულ ადგილას.მიღებული ნარკოტიკული საშუალების ნაწილი ნ.საკანდელიძემ ერთჯერადად მოხმარებისთვის გადასცა თ.კაკულიას,რითაც გაასალა 1 გ-მდე დიდი ოდენობით ნ/საშუალება „ჰეროინი“,ნაწილი შეინახა პირადად და გაასალა,ხოლო 1.1გ-ის ოდენობით დაუბრუნა თ.კაკულიას და წინასწარი შეთანხმებისამებრ დაავალა,რომ დაედო რ.წიკლაურისათვის ბინაში,რაც თ.კაკულიამ შეასრულა კიდევაც.აღნიშნულთან დაკავშირებით,ნ.საკანდელიძემ გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით,რ.წიკლაურის ბინისა და პირადი ჩხრეკის ჩატარების უკანონოდ,წინასწარ გამოტანილი დადგენილება გადასცა სამსახურეობრივად თავის დაქვემდებარებაში მყოფ თანაშრომლებს,ისე,რომ ამჯერადაც არ გაუმხილა რეალურად არსებული ვითარება და დაავალა გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედების ჩატარება.რ.წიკლაურის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკის ჩატარების შედეგად ამოიღეს თ.კაკულიას მიერ ფარულად დადებული განსაკუთრებით დიდი ოდენობით—წონით 1.1 გ ნ/საშუალება „ჰეროინი“,რომელიც წარმოადგენდა ფალსიფიცირებულ მტკიცებულებას,რაც გახდა რ.წიკლაურის საცხოვრებელი ბინის უკანონო ჩხრეკის,მისი უკანონო დაკავების,მის მიმართ სისხლისსამართლის საქმის

აღძვრის,პასუხისგებაში მიცემისა და დაპატიმრების საფუძველი,რითაც უხეზად დაირღვა მისი უფლებები,შეურაცხყოფილ იქნა მისი ღირსება,ამასთანავე,არსებითად დაირღვა სახელმწიფოს კანონიერი ინტერესები.

თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლისსამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 30 მარტის განაჩენი საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლისსამართლის საქმეთა პალატაში საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნ.საკანდელიძის ინტერესების დამცველმა,ადვოკატმა გოგმარ გაბუნიაძემ,რომელმაც აღნიშნა,რომ განაჩენი არის უკანონო დაუსაბუთებელი,სასამართლომ გამოიყენა ისეთი სისხლისსამართლის მატერიალური კანონი,რომელიც არ უნდა გამოეყენებინა,არასწორად განმარტა კანონის ზოგიერთი ნორმა და ითხოვა,სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ პუნქტის თანახმად,გასაჩივრებულ განაჩეში ცვლილებების შეტანა მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

პალატის სხდომაზე მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა აღნიშნა,რომ მსჯავრდებულ ნ.საკანდელიძეს უნდა მოეხსნას სსკ-ის 145-ე მუხლით (დანაშაულის პროვოკაცია) წარდგენილი ბრალდება,რადგან არც საბრალდებო დასკვნა და არც განაჩენი არაფერს ამბობენ იმის შესახებ,თუ კონკრეტულად რა მოქმედება ჩაიდინა მსჯავრდებულმა დანაშაულის ამ შემადგენლობის განსახორციელებლად.ამ საქმეში დაზარალებულად მიჩნეულ პირებთან ( თ.აკულია და მ.ხაინდრავა) მსჯავრდებულს არანაირი შეხება არ ჰქონია,ამიტომ ვერც წააქეზებდა და ვერც დაიყოლიებდა მათ რაიმე დანაშაულის ჩასადენად,მითუმეტეს,რომ საკანდელიძის ბრალდებასთან დაკავშირებით, თ.აკულიას და მ.ხაინდრავას რაიმე მსგავსი დანაშაულის ჩადენაში ბრალი არ ედებათ.ამრიგად აღნიშნული ბრალდება აშკარად უსაფუძვლოა და საკანდელიძეს იგი უნდა მოეხსნას.

აღსანიშნავია,რომ ნ.საკანდელიძის ქმედებაში არ იყო დანახული დანაშაულის პროვოკაციის ნიშნები/უფრო მეტიც,საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ჩათვალა,რომ ნ.საკანდელიძის მიერ სსკ260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტით, სსკ 262-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ პუნქტით, 369-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ „გ“ ქვეპუნქტებით

გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.<sup>36</sup>

---

<sup>36</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 1 ნოემბრის N-71 განჩინება

## დასკვნა

ნაშრომის პირველ თავი,რომელიც 2 პარაგრაფისგან,შედგება ეძღვნება დანაშაულის პროვოკაციას,მის ზოგად დახასიათებასა და ისეთ ფსიქოლოგიურ ასპექტს,როგორცაა ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა,როგორც სისხლისსამართლებრივი ხელყოფის ობიექტი და ანომია.აღნიშნული თავის განხილვის უმთავრესი მიზანია იმაში გარკვევა თუ როდის და რა მდგომარეობაში ხდება ადამიანის „სულიერი სიკვდილი“.მოცემული თავის სწორად წარმოჩენა საჭიროდ მიგვაჩნია,რადგან დანაშაულის პროვოკაცია ადამიანის პიროვნული და სოციალური დეზინტეგრაციისა და მისი ღირებულებების რღვევის საფუძველია.

ნაშრომის მეორე თავში დანაშაულის პროვოკაციის ისტორიის განხილვისას ყურადღება გამახვილებულია იმ ფაქტზე,რომ ამ ინსტიტუტის განვითარებაზე ზეგავლენას ახდენდა არა ერთი ფაქტორი.

აღნიშნულ საკითხზე მეფის რუსეთის დამოკიდებულების ანალიზის დროს გამოვარჩევდი სახელმწიფოს მიერ დანაშაულის პროვოკაციის გამოყენების ხერხებსა და საშუალებებს. კერძოდ ნაშრომში ჩამოთვლილია რიგი სამართალდამცავი უწყებები,რომლებიც დანაშაულის პროვოკაციას არც თუ ისე იშვიათ შემთხვევებში მიმართავდნენ.აღსანიშნავია ის ფაქტი,რომ პირველად სწორედ მეფის რუსეთის პერიოდში გამოიკვეთა აგენტ-პროვოკატორის ინსტიტუტი.

ნაშრომში აღნიშნულია,რომ საბჭოთა სახელმწიფოს წარმოშვების მომენტიდან დანაშაულის პროვოკაციის განვითარება ორი მთავარი გზით მოხდა.პირველი ეს იყო პოლიტიკური ტერორის გაჩაღების ლეგიტიმური საშუალება და მეორე— საკანონმდებლო,რომელიც შედარებით გვიან ჩამოყალიბდა თუმცა მათ ერთმანეთისთვის ხელი არ შეუშლიათ.

საბჭოთა საქართველოს პირობებში ნაშრომში მოყვანილია რამოდენიმე ისტორიული ფაქტი,რომელიც ადასტურებს,თუ როგორ ცდილობდნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი აგენტ-პროვოკატორები ოპონენტების პროვოცირებას და ამ გზით მათი თავიდან

მოშორებას.საყურადღებოა ის ფაქტი,რომ გარკვეულ შემთხვევებში პროვოკატორმა ვერ მიაღწია თავის საწადელს იმის გამო,რომ მოხდა მისი გამოვლენა.

მესამე თავში საუბარია დანაშაულის პროვოკაციის შემადგენლობაზე.მკაფიოდ არის გამოყოფილი ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის მნიშვნელობა.კერძოდ:დანაშაულის ობიექტი,საკუთრივ შედეგი და მათ შორის მიზეზობრივი კავშირი.

დანაშაულის პროვოკაციის მართლწინააღმდეგობის ანალიზის დროს აღინიშნება,რომ დამნაშავეთა მხილებისას მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის,ვინც სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემის მიზნით დაიყოლიებს პირს დანაშაულის ჩასადენად.დანაშაულის პროვოცირება შეუძლია,როგორც მოქალაქეს,ისე ოპერატიულ თანამშრომელსაც.ყველა შემთხვევაში არ აქვს მნიშვნელობა დანაშაული ჩაიდინა მოქალაქემ თუ ოპერატიულმა თანამშრომელმა.ქმედების მართლწინააღმდეგობას კანონის მიხედვით აქვს ერთი და იგივე მახასიათებელი.

დანაშაულის პროვოკაციის ბრალეულობის გასარკვევად გათვალისწინებულია შემდეგი გარემოებები:1)ბრალი არის შეფასებითი,ნორმატიული კატეგორია;2)ბრალი არის ბრალდებულის(განსასჯელის)გაკიცხვა ჩადენილი უმართლობის გამო.ამ შემთხვევაში უმართლობის უარყოფითი შეფასება ხდება ინდივიდუალურ,პერსონალურ დონეზე მაშინ,როცა უმართლობა ობიექტური,არაპერსონალური შეფასებაა.ნაშრომში აღინიშნება,რომ მოქმედი სსკ-ს 145 მუხლი ვერ ითვალისწინებს დანაშაულის პროვოკაციის უმართლობის ხარისხს და ამიტომ რეალურად ბრალის შერაცხვის საკითხის განხორციელება გამოირიცხება.გარდა ამისა ამ მუხლის თანახმად ბრალის შერაცხვა ხორციელდება უმართლობის გაუთვალისწინებლად.ამიტომ,მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის გარეთ დატოვება ნიშნავს მათთვის სამართლებრივი შეფასების მიუცემლობას,რაც პრაქტიკულად დაუშვებელია.

ნაშრომის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს დანაშაულის პროვოკაციისა და წამქეზებლობის ერთმანეთისგან გამიჯვნა.მოცემულ ორ

დანაშაულს გააჩნია საერთო მახასიათებელი „დაყოლიება“,თუმცა დანაშაულის პროვოკაციისა და წამქეზებლობის გამიჯვნა სავსებით შესაძლებელია.

ჩვენთვის ცნობილი,რომ მათი განსხვავება დანაშაულის ჩადენის მიზანში მდგომარეობს.კერძოდ:დანაშაულის წამქეზებლობისას წამქეზებელი და ამსრულებელი ერთიან უმართლობას ჩადიან,ანუ მათ ამოდრავებთ დანაშაულის მიმართ საერთო მიზანი და ხშირად ეს მიზანი შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება.სულ სხვაგვარადაა საქმე დანაშაულის პროვოკაციის შემთხვევაში,აქ პროვოკატორისთვის მნიშვნელობა არ აქვს მიიყვანს თუ არა პროვოცირებული პირი დანაშაულს ბოლომდე.მისთვის მთავარ მიზანს წარმოადგენს პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა.ეს პასუხისმგებლობა დადგება მცდელობის ეტაპზე თუ დასრულდება ანუ მიყვანილ იქნება ბოლომდე ამას პროვოკატორისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.მისთვის მთავარია პროვოცირებულის ქმედებამ მიაღწიოს დასჯად სტადიას.ასევე დასკვნის სახით აუცილებელია იმ გარემოების აღნიშვნა,რომ დანაშაულის პროვოკაცია წარმოადგენს გაცილებით უფრო სოციალურად საშიშ ქმედებას ვიდრე წამზეზებლობა.

სწორედ ეს უკანასკნელი წარმოადგენს სსკ 145-ე მუხლში ხარვეზის არსებობის საფუძველს.გამომდინარე იქიდან,რომ დღესდღეისობით მუხლის დისპოზიცია არ გვაძლევს მისი მთელი სიმძიმით აღქმის საშუალებას.მოგეხსენებათ აღნიშნული ქმედება განეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა რიცხვს,რაც ნორმის აშკარა ხარვეზს წარმოადგენს.მეტი სიცხადისთვის წარმოვიდგინოთ გარემოება,როდესაც პროვოკატორმა პირი დაიყოლია მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩასადენად.არ არსებობს დამამძიმებელი გარემოება,რომელიც სიცხადეს შეიტანდა მისი სოციალური საშიშროების განსაზღვრაში.

ხარვეზის გამოსწორების ერთ-ერთ ხერხად მიგვაჩნია 145-ე მუხლში ძირეული ცვლილებების შეტანა.კერძოდ,საჭიროა რიგი საკანონმდებლო ცვლილებები,რომლებიც მკვეთრად განასხვავებს დანაშაულის პროვოკაციას სხვა დანაშაულებთან შედარებით მისი სოციალური საშიშროების გამო.სსკ145-ე მუხლში

დამამძიმებელი გარემოებების დამატებით, ნორმა ბევრად უფრო მოქნილი, ეფექტური და სამართლიანი იქნება.

დანაშაულის პროვოკაცია და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება ასევე წარმოადგენს, ნაშრომის მნიშვნელოვან ნაწილს. ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების მნიშვნელობიდან გამომდინარე, ნაშრომში მოყვანილია არა ერთი მაგალითი იმის შესახებ თუ, როდის შეიძლება მივიჩნიოთ ოპერ-მუშაკის მხრიდან განხორციელებული ესა თუ ის მოქმედება დანაშაულის პროვოკაციად. მიუხედავად მეცნიერთა ნაწილის პოზიციისა ჩვენთვის კატეგორიულად მიუღებელია დანაშაულის პროვოცირების გზით სხვა დანაშაულის გამოვლენა და მისი აღკვეთა. ვფიქრობთ, რომ ოპერატიული მუშაკების უშუალო და პირდაპირი ვალდებულებაა, საქმე გამოიძიონ ობიექტურად და სამართლიანად. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი და კანონი ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის შესახებ საკმარის სამართლებრივ ბერკეტს და უფლებამოსილებებს ანიჭებს ოპერატიულ თანამშრომელს.

ნაშრომის მე-7 თავში განხილულია დანაშაულის პროვოკაცია და სხვა დანაშაულები. სხვა დანაშაულში იგულისხმება ისეთი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა, რომელიც თავისი შინაარსით შეიძლება ჰგავდეს დანაშაულის პროვოკაციას. საზოგადოებაში დამკვიდრებული დამოკიდებულებების გამო, მას ეძლევა არასწორი შეფასება. საჭიროდ მივიჩნიეთ კონკრეტული მაგალითების საფუძველზე, მიგვეცა სხვადასხვა ქმედებისათვის სწორი სამართლებრივი შეფასება. სწორედ ეს წარმოადგენს აღნიშნული თავის მთავარ სათქმელს.

მიუხედავად იმისა, რომ სსკ 145-ე მუხლი სასამართლო პრაქტიკაში არცთუ ისე ხშირად გვხვდება, მივიჩნიეთ, სასამართლო პრაქტიკის სიმცირის მიუხედავად, ნაშრომში მოგვეყვანა აღნიშნულ მუხლთან დაკავშირებით სასამართლო პრაქტიკის მაგალითები. განხილული მაგალითები ცხადყოფს სსკ 145-ე მუხლის დახვეწისა და სრულყოფის საჭიროებას, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული კუთხით. ჩვენთვის კიდევ ერთხელ ნათელი გახდა ის გარემოება, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ. კერძოდ, აუცილებელია, მუხლში საკანონმდებლო დონეზე

ცვლილებების შეტანა, რაც აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის საშუალებას მოგვცემს. მოცემულ თავში ერთ-ერთი სასამართლო პრაქტიკის მაგალითის განხილვისას გვხვდება საინტერესო ფაქტი, რომელიც შესაძლოა შემდგომში გახდეს მსგავსი შემთხვევის სასამართლო პრეცედენტის ნათელი მაგალითი. კერძოდ, უზენაესმა სასამართლომ ძალაში არ დატოვა პირველი და მეორე ინსტანციების გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ საქმეში არსებული დანაშაულის შინაარსი არ შეიცავს სსკ 145-ე მუხლის შემადგენლობას.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ადამიანის უფლებათა სფეროში ძირითადი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების კრებული.მე-2ნაწილი თნ.2001.
2. ო.გამყრელიძე. სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი.თბ.“მეცნიერება“.1989.
3. ო.გამყრელიძე. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება.თბ.2005.
4. თ.ებრაღიძე.დანაშაულის პროვოკაცია სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი:დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ.2008.
5. ი.დვალიძე.მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციისა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. თბ.2008.
6. თ.წერეთელი. სისხლის სამართლის პრობლემები. ტ.2.თბ.2007.
7. მ.ლევკვიშვილი, ნ.თოდუა, გ.მამულაშვილი.სისხლის სამართლის კერძო ნაწილი.2016.
8. მ.ტურავა.სისხლის სამართალი.ზოგადი ნაწილის მიმოხილვა.მე-9 გამოცემა.2013.
9. გ.აბესაძე.დანაშაულის პროვოკაცია 2013.
10. პ.გურული. ადამიანის პიროვნული და სოციალური ურღვევობა,როგორც სისხლის სამართლებრივი ხელყოფის ობიექტი.ქართული უნივერსიტეტის შრომები,ტომი-2. თბ.2015.
11. პ.გურული.დანაშაულის პროვოკაცია.მეცნიერულ-სამართლებრივი ანალიზი.თბ.2006.
12. ვ.მაყაშვილი. გ.ტყეშელაძე. პასუხისმგებლობა მექრთამეობისთვის თბ.1964.
13. თ.წერეთელი. თანამონაწილეობა დანაშაულში. თბ.1969.
14. საბჭოთა ენციკლოპედია 1975.
15. საქართველოს კანონი ოპერატიულ-სამძებროსაქმიანობის შესახებ.2018.

16. საქართველოს კონსტიტუცია.2018